ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1979 წელი ხუთშაბათი 23 მარტი № 69 (17414) ფასი 2 კაპ.

„სალუტ-6" — „სოიუზ-32" — „პროგრეს-5"

უსწრებენ კოსმოსურ გრაფიკს

ფრენის მართვის ცენტრი, 21 მარტი. (საკადრო). კოსმონავტები ვლადიმერ ლიახოვი და ვალერი რიუმინი განაგრძობენ დაგეგმილი პროგრამის შესრულებას „სალუტ-6" — „სოიუზ-32" — „პროგრეს-5" სამეცნიერო-კვლევითს კომპლექსში.

სარემონტო-აღდგენითი ღონისძიებები, აგრეთვე ავტომატური „პროგრეს-5" სატვირთო ხომალდის გადმოცლის სამუშაოები გრაფიკის გასწრებით მიმდინარეობს კოსმონავტთა მაღალი შრომისუნარიანობისა და ღრმა პროფესიული ცოდნის მეოხებით.

ვუშინ კოსმონავტებმა შეასრულეს გადასატანი ფერადი ტელეკამერის გამართვის სამუშაოები. ამ სამუშაოთა დამთავრების შემდეგ ეკიპაჟმა სატელევიზიო სეანსებში აჩვენა სადგურის ინტერიერი, ხოლო ილუმინატორებიდან — კომპლექსის გარეთა ელემენტები. დღეს გარემო ბუნების კვლევის პროგრამით გათვალისწინებული ვიზუალური დაკვირვების დროს კოსმონავტები ფრენის მართვის ცენტრს გადმოსცემდნენ ხმელეთისა და ზღვის ცალკეული უბნების პანორამებს, აუწყებდნენ დედამიწის ატმოსფეროში მიმდინარე მეტეოროლოგიურ პროცესებს.

„სალუტ-6" სადგურში მუშაობის ამ დღეს გრძელდებოდა სარემონტო და აღდგენითი სამუშაოები. ვლადიმერ ლიახოვი და ვალერი რიუმინი შეუდგნენ საბორტო სეკსტანტის გადატანას მეორე ილუმინატორზე, საღამოს კი საშხაპე დანადგარის ელასტიკურ გარსაცმს შეცვლიან ახალი დანადგარით.

მიუხედავად იმისა, რომ სადგურში დაძაბული რიტმით წარმოებს მუშაობა, ეკიპაჟის ორივე წევრი, ექიმთა შეფასებით, კარგად და მხნედ გრძნობს თავს.

ორბიტული კომპლექსის ფრენა გრძელდება.

პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე

ჩვენი განვითარებული სოციალისტური საზოგადოების ძალისა და დინამიზმის მთავარი წყაროა მისი მოქალაქეების იდეური რწმენა, ორგანიზებულობა, შეგნება. მათი მაღალი მორალურ-პოლიტიკური თვისებები სულ უფრო ნათლად ვლინდება სკკპ XXV ყრილობის მიერ განსაზღვრულ გზაზე წინგადადგმულ თითოეულ ნაბიჯთან ერთად. მილიონობით საბჭოთა ადამიანისათვის, კომუნისტისა და უპარტიოსათვის შრომისა და ბრძოლის დევიზი გახდა ყრილობის მოწოდება: ზუსტად განვახორციელოთ პარტიული გადაწყვეტილებანი, ქვაკუთხედად მივიჩნიოთ საზოგადოების, სახელმწიფოს, ხალხის ინტერესები — ასე და მხოლოდ ასე უნდა მუშაობდეს ყველა, ვისაც გული შესტკივა საერთო საქმისათვის.

პარტია დღენიადაგ ზრუნავს იმისათვის, რომ საბჭოთა ადამიანი, სადაც უნდა იყოს და რა თანამდებობაზეც უნდა შრომობდეს, ინარჩუნებდეს უაღრესად დიდ დაინტერესებას საზოგადოებრივ საქმეში, გრძნობდეს პასუხისმგებლობას მისთვის. საზოგადოების წინაშე მოვალეობის ღრმად გაგებით წარმოშობილი ასეთ გრძნობას დიდად აფასებდა ვლადიმერ ილიას ძე ლენინი. როცა პასუხისმგებლობას დისციპლინასთან და ორგანიზებულობასთან ურღვევი კავშირით იხილავდა, იგი მიგვითითებდა, რომ „განსაკუთრებით დიდი ყურადღება დაგვეთმო მშრომელთა ამხანაგური დისციპლინის განვითარებისა და განმტკიცებისათვის, მათი თვითმოქმედებისა და პასუხისმგებლობის შეგნების ყოველმხრივი ამაღლებისათვის".

პასუხისმგებლობა გარკვეული, ზუსტი და შეთანხმებული მუშაობისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე, რომელსაც ახასიათებს გრანდიოზული მასშტაბი, წამოჭრილი პრობლემების მრავალფეროვნება და სირთულე. დღეს სოციალისტური ეკონომიკისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მძლავრი აღმავლობის პირობებში, ჩვენი გეგმების წარმატება განსაკუთრებით არის დამოკიდებული ორგანიზებულობაზე, დისციპლინაზე წარმოებისა და მართვის სფეროში.

აღნიშნა რა ეს მოსკოვის ბაუმანის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინაშე წარმოთქმულ სიტყვაში, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა: „ჩვენ წინაშე დასახული ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტა მოითხოვს შემოქმედებითს მიდგომას, მაღალ პასუხისმგებლობას, უმკაცრეს დისციპლინას მეურნეობის ყველა რგოლში. ეს ეხება ყველა დონის სამეურნეო ხელმძღვანელთა მუშაობას. ეს ეხება წარმოების უშუალო მონაწილეებსაც. დაე თითოეულმა, ვინც დაზგასთან დგას, მინდორში ან სახაზავ მაგიდასთან შრომობს, თავის თავს ჰკითხოს, ყველაფერი იღონა თუ არა იმისათვის, რომ იმუშაოს უფრო ნაყოფიერად, უფრო ხარისხიანად დაზოგოს მასალები, ფულად არ დახარჯოს დრო".

მოთხოვნა — განვამტკიცოთ ორგანიზებულობა, ავამაღლოთ პასუხისმგებლობა და დისციპლინა ყველა უბანზე გამოხატავს ხალხის საარსებო ინტერესებს. ამ მოთხოვნის შესრულება გულისხმობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა განუხრელ განმტკიცებას, კონტროლისა და შესრულების შემოწმების, სახალხო მეურნეობის მთელი ხელმძღვანელობის შემდგომ სრულყოფას. იგი გულისხმობს აგრეთვე შეგნებული დისციპლინისა და ნაკლოვანებებისადმი, მუშაობაში ყოველგვარი გულგრილობისადმი შეურიგებლობის გრძნობის ჩანერგვას.

პარტიული ორგანიზაციები ყოველნაირად უნდა ამაღლებდნენ კადრების აქტიურობასა და პერსონალურ პასუხისმგებლობას დასახული ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის. საქმე ეხება იმას, რომ ადამიანებისადმი ნდობა და პატივისცემა შეხამებული იყოს მაღალ მომთხოვნელობასთან, პრინციპულობასთან, მათი საქმიანობის შედეგების კრიტიკულ შეფასებასთან, სწორედ ასე დაისვა საკითხი გამართულ საანგარიშო-საარჩევნო პარტიულ კრებებსა და კონფერენციებზე. რა თქმა უნდა, საქმისადმი დაუდევარი დამოკიდებულებისათვის მკაცრი მომკითხველობა არ ნიშნავს იმათდამი მბრძანებლობას, იმათ მაგივრობას, ვისაც იგი დავალებული აქვს. როგორც ლიპეცკის საოლქო პარტიულ კონფერენციაზე აღინიშნა, საოლქო კომიტეტის მუშაკთა ცდები — ემოქმედათ ამგვარი მეთოდებით ცალკეული სამეურნეო ხელმძღვანელების მიმართ, აკნინებდნენ მათ პასუხისმგებლობასა და ინიციატივას.

თითოეული პასუხს აგებს მუშაობის მინდობილ უბანზე საქმის მდგომარეობისათვის, იქნება ეს ქარხანა თუ ბრიგადა, კოლმეურნეობა თუ რგოლი, მსხვილი დაწესებულება თუ უბრალო სამუშაო ადგილი. შეგნებული მუშაკებისათვის უცხოა ობივატელური პოზიცია — „ეს მე არ მეხებაო", მისწრაფება მთელი სიმძიმე დააკისრონ სხვებს. არა მარტო ხელმძღვანელებს, არამედ წარმოების ყველა უშუალო მონაწილესაც აწუხებს ხუთწლედის დავალებათა შესრულებასთან დაკავშირებული პრობლემები და საზრუნავი. როგორც ქვეყნის ნამდვილი ბატონ-პატრონები მათ ღრმად აქვთ შეგნებული საერთო საქმეში პირადი წვლილის მნიშვნელობა, საწარმოს, ეკონომიკის დარგის, მთელი სახალხო მეურნეობის გეგმების რეალიზაციაში, წარმოების ეფექტიანობის, მუშაობის ხარისხის ამაღლებაში. ყველა პატიოსან მშრომელს კარგად ესმის, რომ იგი პასუხს აგებს ხალხის დოვლათის — პურის, ლითონის, სათბობის, ყველა მატერიალური ღირებულების გამრავლებისთვისაც და მოვლა-შენახვისთვისაც.

საბჭოთა ადამიანებს პასუხისმგებლობის გრძნობა უმტკიცდებათ ერთობლივი შრომისა და ამხანაგური ურთიერთობის პროცესში, ებადებათ სურვილი იმუშაონ უკეთ, ძალ-ღონისა და უნარის მთელი დაძაბვით. ამ გრძნობების ჩანერგვას ხელს უწყობს სოციალისტური შეჯიბრება, მისი სხვადასხვა ფორმა. კისრულობენ რა სოციალისტურ ვალდებულებებს, მშრომელები კისრულობენ აგრეთვე პასუხისმგებლობას მათი შესრულებისათვის, შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის. აი, რა თქვა მოსკოვის ქარხანა „კალიბრის" ამწყობ ზეინკალთა ბრიგადირმა — შეჯიბრების ერთ-ერთმა მოწინავემ ნ. ვ. მიხაილოვმა: „ჩვენ გვესმის, რომ რაც უნდა სრულყოფილი იყოს ხელსაწყოს კონსტრუქცია, იგი სათანადო ეფექტს ვერ მისცემს მომხმარებელს, თუ იგი დამზადებული იქნება დაუდევრად, თუ ამწყობი თავისი სულის ნაწილს არ ჩააქსოვს მასში. ჩვენი ბრიგადა ერთიანი განაწესით მუშაობს. კოლექტიურად აგებს პასუხს პროდუქციის ხარისხისათვის".

ერთი ყველასათვის და ყველა ერთისათვის — ასეთია სოციალისტური კოლექტივიზმის პრინციპი. თითოეული პასუხს აგებს თავისი შრომის შედეგებისათვის კოლექტივის წინაშე, ხოლო კოლექტივი პასუხს აგებს თითოეული თავისი წევრისათვის. ასეთი პრინციპით ცხოვრება და მუშაობა — ნიშნავს კოლექტივებში ვქმნიდეთ ურთიერთმომთხოვნელობის ატმოსფეროს, როცა დისციპლინის ყოველი დამრღვევი ყოველთვის პასუხს აგებს ამხანაგების წინაშე. საჭიროა კიდევ უფრო ფართოდ გავშალოთ კრიტიკა და თვითკრიტიკა, მუშათა, კოლმეურნეთა, მოსამსახურეთა კრებებსა და საწარმოო თათბირებზე. საზოგადოებრივი აზრის მთელი ძალა მივმართოთ გულგრილობის გამოვლინებების, სახელმწიფო ინტერესების უგულებელყოფის, იმ ცდების წინააღმდეგ, რომ თავი აარიდონ პასუხისმგებლობას დაშვებული ნაკლოვანებებისათვის. კომუნისტთა ვალია იყვნენ ამგვარი ცდებისადმი მებრძოლი შეურიგებლობის მაგალითი.

საზოგადოების წინაშე მაღალი პასუხისმგებლობა საბჭოთა ადამიანების იდეურობის, მოქალაქეობრივი სიმწიფის გამოხატულებაა. რაც უფრო ნათლად და ღრმად აქვთ შეგნებული თავიანთი მოვალეობანი, მით უფრო მნიშვნელოვანია მათი წარმატებანი შრომაში, კომუნისტური მშენებლობის გეგმების შესრულებისათვის ბრძოლაში.

გამოვიდა ოსურ ენაზე

სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო გამომცემლობა „ირისთონმა" ოსურ ენაზე გამოუშვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის წიგნი „ყამირი".

წიგნი მასობრივი ტირაჟით გამოიცა. (საქინფორმი).

PRAVDA
21 მარტის მოწინავე

საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის VI ყრილობა

22 მარტს აკაკი ხორავას სახელობის მსახიობის სახლში გაიმართა რესპუბლიკის კომპოზიტორთა კავშირის VI ყრილობა, რომელშაც განიხილა სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად ქართული საბჭოთა მუსიკალური ხელოვნების შემდგომი განვითარების ამოცანები.

პრეზიდიუმში იყვნენ ამხანაგები პ. გილაშვილი, გ. ენუქიძე, თ. მენთეშაშვილი, ო. ჩერქეზია, ჟ. შარტავა, სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის მდივანი პ. სავინცევი.

ყრილობა შესავალი სიტყვით გახსნა რესპუბლიკის სახალხო არტისტმა კომპოზიტორმა შ. მშველიძემ.

დელეგატებმა საპატიო პრეზიდიუმში ერთსულოვნად აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

ყრილობისადმი საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისასალმებელი წერილი წაიკითხა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგემ ა. ალექსიძემ.

საანგარიშო მოხსენება გააკეთა საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის პირველმა მდივანმა, რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ გ. ორჯონიკიძემ.

ყრილობას სარევიზიო და სამანდატო კომისიების ანგარიში ჩაბარეს ამ კომისიების თავმჯდომარეებმა ი. გეჯაძემ და ნ. გიგაურმა.

მოხსენებათა გამო გაიმართა კამათი.

ყრილობაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა გ. ენუქიძემ.

ყრილობის მონაწილეებმა ტაშის გრიალში მიიღეს მისასალმებელი წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტის, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევისადმი.

აირჩიეს რესპუბლიკის კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის და სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობა, სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირის VI ყრილობაზე წარსაგზავნი დელეგატები.

ყრილობამ მიიღო შესაბამისი რეზოლუცია.

იუწყებიან: საკლესი და საქინფორმი

მოსკოვში ჩამოვიდა

საბჭოთა მთავრობის მოწვევით 21 მარტს მოსკოვში ოფიციალურ ვიზიტად ჩამოვიდა ტაილანდის პრემიერ-მინისტრი გენერალი კრიანგსაკ ჩამანანი.

ტაილანდისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო დროშებით მორთულ აეროდრომზე პრემიერ-მინისტრს დახვდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე მ. ს. სოლომენცევი, სხვა ოფიციალური პირნი.

●●

მეგობრულ ვითარებაში

სსრ კავშირის მთავრობამ 21 მარტს კრემლის დიდ სასახლეში სადილი გაუმართა კ. ჩამანანს.

საბჭოთა კავშირის მხრივ სადილზე იყვნენ ამხანაგები ა. ნ. კოსიგინი, ა. ა. გრომიკო, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები, სსრ კავშირის მინისტრები, სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეები და სხვა ოფიციალური პირნი.

ა. ნ. კოსიგინმა და კ. ჩამანანმა სადილზე წარმოთქვეს სიტყვები, რომლებიც დამსწრეთ დიდი აუარადღებით მოისმინეს და ტაშით შეხვდნენ. სადილმა მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

●●

საგჭოთა კავშირ-ტაილანდის მოლაპარაკება

21 მარტს კრემლში დაიწყო მოლაპარაკება, რომელშიც მონაწილეობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო და ტაილანდის სამეფოს პრემიერ-მინისტრი კ. ჩამანანი.

მოლაპარაკების დროს, რომელმაც გულახდილობისა და ურთიერთგაგების ატმოსფეროში ჩაიარა, გაიმართა აზრთა კონსტრუქციული გაზიარება საბჭოთა კავშირ-ტაილანდის ურთიერთობის საკითხებზე. კმაყოფილებით აღინიშნა, რომ საბჭოთა კავშირი და ტაილანდი აპირებენ კვლავაც იარონ ორი ქვეყნის თანამშრომლობის შემდგომი განმტკიცების გზით, უფრო სრულად გამოიყენონ არსებული შესაძლებლობანი გრძელვადიან საფუძველზე მისი გაფართოებისათვის.

— საერთაშორისო საკითხებზე აზრთა გაზიარების დროს ძირითადი ყურადღება დაეთმო თანამედროვეობის აქტუალურ პრობლემებს, მათ შორის მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცებას, დაძაბულობის კერების ლიკვიდაციისა და ომის საფრთხის თავიდან აცილებას, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის მშვიდობის, სტაბილურობისა და უშიშროების უზრუნველყოფის საკითხებს. მხარეებმა გამოთქვეს რწმენა, რომ საჭიროა დაძაბულობის შენელების პროცესი გავრცელდეს მსოფლიოს ყველა რაიონში და ამ პროცესს შეუქცევადი ხასიათი მიენიჭოს.

ხუთწლედის ქალაქიანები

ქარხანა „სოხუმელსაწყოს" კოლექტივი გასული წლის მეოთხე კვარტალის შედეგების მიხედვით გამარჯვებული გამოვიდა დარგობრივ საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში.

გამარჯვებით აღფრთოვანებულმა სოხუმელებმა მიმდინარე წელს კიდევ უფრო ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება. ამ პაექრობის ავანგარდშია ხელსაწყოების ამწყობთა ის ბრიგადა, რომელსაც გულნარა ხვარცკაია ხელმძღვანელობს.

სურათზე: მ. ხვარცკაია.

ი. პოპოვნელიძის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ლ. ი. ბრეჟნევმა მიიღო ტაილანდის პრემიერ-მინისტრი კ. ჩამანანი

22 მარტს სკკპ ცენტრალური კომიტეტის» გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა კრემლში მიიღო ტაილანდის სამეფოს პრემიერ-მინისტრი გენერალი კრიანგსაკ ჩამანანი, რომელიც ოფიციალურ ვიზიტად იმყოფება საბჭოთა კავშირში.

მეგობრულ ვითარებაში მიმდინარე საუბრის დროს განიხილეს საბჭოთა კავშირ-ტაილანდის ურთიერთობის მდგომარეობა და გაზიარების პერსპექტივები. ორივე მხარემ გამოთქვა მისწრაფება კვლავაც გააფართოოს და განმტკიცოს საბჭოთა კავშირ-ტაილანდის თანამშრომლობა მრავალი მიმართულებით, რაც ხელს შეუწყობს საბჭოთა კავშირისა და ტაილანდის ხალხთა ინტერესებს, მშვიდობის დამკვიდრებას აზიის კონტინენტზე.

საერთაშორისო პრობლემების განხილვისას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის ბოლოდროინდელ ამბებს. ლ. ი. ბრეჟნევმა განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირი გაგებით ეკიდება ამ რაიონის ხალხთა მეცადინეობას, რომლის მიზანია განმტკიცოს სუვერენიტეტი და უშიშროება. აზიის საიმედო უშიშროება დაფუძნებული უნდა იყოს ისეთ პრინციპებზე, როგორიც არის სახელმწიფოთა ურთიერთობაში ძალის გამოყენების ან ძალით დამუქრების გამოყენების შეუწყნარებლობა, დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის, საზღვრების შეუვალობის, საშინაო საქმეებში ჩაურევლობის ღრმა პატივისცემა, ეკონომიკური და სხვაგვარი ურთიერთობის განვითარება სრული თანასწორუფლებიანობისა და ნაცვალგების საფუძველზე. როგორც აზიის ყველა ხალხთა საარსებო ინტერესებს, ისე საყოველთაო მშვიდობის ინტერესებს შეესაბამება ის, რომ აქ გაღრმავდეს დაძაბულობის შენელების პროცესები, განვითარდეს კონტინენტის სახელმწიფოთა შორის ჭეშმარიტად კეთილმეზობლური თანამშრომლობა. თავისი მშვიდობისმოყვარული პოლიტიკის ერთგული საბჭოთა კავშირი კვლავაც კონსტრუქციულ წვლილს შეიტანს ამ დიდნაშვნელოვან საქმეში.

საბჭოთა კავშირი, აღინიშნა ლ. ი. ბრეჟნევმა, იმით ხელმძღვანელობს, რომ ახლა იქმნება იდეოჩინეთის ყველა ხალხთა შორის სტაბილური ურთიერთობის — მეგობრობაზე, ერთმანეთის ნდობასა და კეთილმეზობლობაზე დაფუძნებული ურთიერთობის განვითარების შესაძლებლობანი. იგი მთლიანად უჭერს მხარს სოციალისტურ ვიეტნამს, რომელსაც სურს მშვიდობიანად იცხოვროს ტაილანდთან და ყველა სახელმწიფოსთან, თავის მეზობლებთან — სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის ქვეყნებთან.

საუბარს დაესწრო სკკპ ცენტრალური კომიტეტის კენერალური მდივნის რეფერენტი ე. მ. სამოტეიკინი.

საქართველოს კომპოზიტორთა VI ყრილობას

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი გულითადად მიესალმება საქართველოს კომპოზიტორების, მრავალეროვნული საბჭოთა მუსიკალური კულტურის ერთ-ერთი მოწინავე რაზმის VI ყრილობის დელეგატებს და უსურვებს შემდგომ წარმატებებს რესპუბლიკის მუსიკალური ხელოვნების მოღვაწეთა წინაშე მდგომი ამოცანების გადაწყვეტაში.

ქართველი კომპოზიტორები და მუსიკათმცოდნეები, ისევე როგორც საბჭოთა სამშობლოს მთელი მუსიკალური საზოგადოებრიობა, მთელ თავიანთ ნიჭს, მთელ თავიანთ უნარს ახმარენ კომუნიზმის ნათელი იდეალებისადმი სამსახურის კეთილშობილურ საქმეს, აქტიურად მონაწილეობენ სკკპ XXV ყრილობის დიადი წინასწარდასახულობების, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის შრომაში ჩამოყალიბებული დებულებების და დასკვნების განსახორციელებლად, რომლებიც ეხება საბჭოთა მრავალეროვნული სოციალისტური კულტურის შემდგომ განვითარებას, მშრომელთა იდეურ-ესთეტიკური აღზრდის სრულყოფას.

განვითარებული სოციალიზმის ეპოქაში, იმ უმაგალითო შრომითი აღმავლობისა და ენთუზიაზმის ვითარებაში, რომელიც გამოწვეულია საბჭოთა ხალხის უდიდესი მიღწევებით სოციალურ-პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, მისი ლენინური პოლიტბიუროს გარშემო შეკავშირების პირობებში, რაც განსაკუთრებით ნათლად გამოვლინდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღეს, განუხრელად იზრდება ლიტერატურისა და ხელოვნების როლი ჩვენი საზოგადოების სულიერ ცხოვრებაში, ყოველმხრივ განვითარებული საბჭოთა ადამიანის პიროვნების ჩამოყალიბებაში, მის აღზრდაში მშვენიერებისა და სამართლიანობის კანონებით.

საქართველოს კომპოზიტორთა შემოქმედებითი მიღწევები, რომლებიც ეხმიანება რესპუბლიკის საზოგადოებრივ ცხოვრებაში უკანასკნელი წლების მახვილზე მოძმდარ პოზიტიურ ძვრებს, ფართოდ არის ცნობილი ჩვენს ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ. ბევრი ნაწარმოები აღინიშნა მაღალი ჯილდოთი, მოიპოვა დამსახურებული აღიარება, შევიდა საბჭოთა მუსიკის საგანძურში.

ქართული პროფესიული მუსიკა ეყრდნობა მდიდარ ხალხურ ტრადიციებს და კლასიკურ მემკვიდრეობას, საბჭოთა და პროგრესული მსოფლიო მუსიკის საუკეთესო მიღწევებს.

უკანასკნელ წლებში დიდი წარმატებანი მოიპოვეს აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის კომპოზიტორებმა და მუსიკოსებმა.

განმტკიცდა ურთიერთგამამდიდრებელი შემოქმედებითი ურთიერთობა სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მშრომელებთან, სასწავლებლებთან, საბჭოთა არმიის მეომრებთან. ღრმავდება და ვითარდება საშეფო მუშაობა.

შემოქმედებითს საქმიანობაში აქტიურად მონაწილეობენ საქართველოს კომპოზიტორთა ყველა თაობის წარმომადგენლები, მათ შორის ნიჭიერი ახალგაზრდობაც, რომელიც მუდმივი მზრუნველობითა და ყურადღებით არის გარემოსილი.

მტკიცდება ქართველ კომპოზიტორთა ინტერნაციონალური ურთიერთობა. ისეთი ღონისძიებანი, როგორიც არის „ამერიკაკავკასიის მუსიკალური გაზაფხული", „საბჭოთა ამერკავკასიის მელოდიები", რუსული მუსიკის ფესტივალი საქართველოში, ქართული მუსიკის დღეები მოსკოვში, გაცვლითი კონცერტები და შემოქმედებითი შეხვედრები მოძმე რესპუბლიკებისა და სოციალისტური ქვეყნების მუსიკალური საზოგადოებრიობის წარმომადგენლებთან ემსახურება საბჭოთა პატრიოტიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით მშრომელთა აღზრდის კეთილშობილურ საქმეს.

სოციალისტური რეალიზმის პრინციპების ერთგული ქართველი კომპოზიტორები თავიანთ ნაწარმოებებში ასახავენ ჩვენს საბჭოთა სინამდვილეს. საბჭოთა ხალხის საბრძოლო და შრომითის საგმირო საქმეებს. ქართული მუსიკა ხორცს ასხამს ოქტომბრის დიად იდეებს და აქტიურად ემსახურება ჰუმანისტური იდეალების პროპაგანდას, საბჭოთა ადამიანის სულიერ განვითარებას.

ჩვენი საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე საქართველოს კომპოზიტორთა წინაშე დგას ახალი დიდმნიშვნელოვანი ამოცანები — უფრო მკაფიოდ და ნათლად ასახონ ყველა ქანრისა და ფორმის მუსიკალური ხელოვნებით ჩვენი დღეების გმირული მიღწევები, აქტიურად იბრძოლონ საბჭოთა მუსიკაში ბურჟუაზიული იდეოლოგიის შემოღწევის ყოველგვარი ცდის წინააღმდეგ, თანამიმდევრულად და განუხრელად შეასახონ ხორცი თავიანთი შემოქმედებით სოციალისტური ჰუმანიზმის იდეებს, იბრძოლონ სოციალისტური რეალიზმის პრინციპების, სისპეტაკისა და ქმედითობისათვის, ხელოვნების პარტიულობისა და ხალხურობისათვის, შეაკავშირონ შემოქმედებითი ძალები, იბრძოლონ თითოეული მუსიკალური მოღვაწის იდეური და პროფესიული ოსტატობის სრულყოფისათვის, აქტიურად განავითარონ კრიტიკა და თვითკრიტიკა, ყოველი ღონისძიებით შეაღწიონ ხელი საბჭოთა ადამიანების, განსაკუთრებით ახალგაზრდობის ესთეტიკურ აღზრდას, განამტკიცონ ურთიერთგამამდიდრებელი შემოქმედებითი კავშირი რესპუბლიკის მშრომელებთან.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი გამოთქვამს მტკიცე რწმენას, რომ რესპუბლიკის კომპოზიტორები, მუსიკათმცოდნენი, საქართველოს მთელი მუსიკალური საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, რომლებიც ერთგულად ასრულებენ თავიანთ წმიდათაწმიდა მოვალეობას — მხარში უდგანან პარტიას, კვლავაც მაღალ იდეურ და მხატვრულ დონეზე ასახავენ ჩვენს თანამედროვეობას, საბჭოთა ხალხის საბრძოლო და შრომითს მიღწევებს, ჩვენი დღეების გმირის — კომუნისტური საზოგადოების მშენებლის, მაღალ ზნეობრივ ძალას.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი.

ე. ა. შევარდნაძე შეხვდა სრულიად უნგრეთის პროფკავშირთა საბჭოს დელეგაციას

22 მარტს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე შეხვდა სრულიად უნგრეთის პროფკავშირთა საბჭოს დელეგაციას, რომელსაც მეთაურობს უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ი. კადარის შეხვედრამ, ისევე როგორც ყველა წინანდელმა შეხვედრამ, ცხადყო შეხედულებათა სრული ერთიანობა ყველა განხილულ საკითხზე. ასეთი შეხვედრები, გამოცდილების გაზიარება, უშუალო კონტაქტები ხელს უწყობს საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ძმური ურთიერთობის შემდგომ განვითარებას.

საქართველოს, ისევე როგორც მთელი საბჭოთა კავშირის კომუნისტებს, მშრომელებს, თქვა ე. ა. შევარდნაძემ, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტია, უნგრელი მუშები, გლეხები და მშრომელი ინტელიგენცია თავიანთ ერთგულ მეგობრებად მიიჩნიეთ. ჩვენ გულწრფელად გვახარებს სოციალისტური უნგრეთის წარმატებები. ჩვენ წინაშე, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის XI ყრილობის დამსწრე საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრთა წინაშე, თქვა მან, გადაიშალა იმ ისტორიული მიღწევების შესანიშნავი სურათი, რომლებიც უნგრეთის მიწა-წყალზე მოხდა სახალხო ხელისუფლების წლების მანძილზე.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გამართულ შეხვედრაზე უნგრელ ამხანაგებს გააცხეს, თუ როგორ ახორციელებენ საქართველოს კომუნისტები, რესპუბლიკის მშრომელები სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებს, რა წვლილი შეაქვთ საქართველოს პროფკავშირებს სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, რა როლს ასრულებენ ისინი რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

შ. გაშპარმა დელეგაციის ყველა წევრის სახელით და პირადად მადლობა გადაიხადა საქართველოს მიწა-წყალზე გაწეული გულითადი მასპინძლობისათვის. როცა საბჭოთა კავშირში მოვემგზავრებოდით, თქვა შ. გაშპარმა, იანოშ კადარმა დაგვაბარა, რომ, თუ საქართველოში ჩამოსვლის შესაძლებლობა მოგვეცემოდა, პირადად მისი სახელით, უნგრეთის ყველა კომუნისტისა და მშრომელის სახელით ყოველივე საუკეთესო გვესურვებინა თქვენთვის, ყველა კომუნისტისათვის, ქართველი ხალხისათვის.

დიდი კმაყოფილებით შევიტყვეთ, თქვა სრულიად უნგრეთის პროფკავშირთა საბჭოს გენერალურმა მდივანმა, თუ რა წარმატებანი მოგიპოვებიათ ცხოვრების სხვადასხვა დარგში. დარწმუნებული ვართ, რომ რესპუბლიკის მშრომელები კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით წარმატებით შეასრულებენ ყველა გეგმასა და ჩანაფიქრს.

შ. გაშპარმა დამსწრეთ გააცნო პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის საქმიანობა, რომელიც იღწვის მუშათა კლასისა და ყველა მშრომელის კლასობრივი ინტერესების დაცვის პრინციპებზე პროფკავშირული მოძრაობის მოქმედების ერთიანობისათვის, ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცებისათვის.

შეხვედრაზე იყვნენ საკავშირო პროფსაბჭოს მდივანი კ. ი. მაკიავიჩუსი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგე ს. ე

პარტიული ქრონიკა

იუწყებიან „კომუნისტის“ და საქინფორმის კორესპონდენტები

წულუკიძე. („კომ“. კორ.). საქართველოს კომპარტიის წულუკიძის რაიკომმა და ჟურნალ „პარტიული სიტყვის“ რედაქციამ ერთობლივად მოაწყვეს რაიონის იდეოლოგიურ მუშაკთა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე „იდეოლოგიურად უზრუნველყოთ მეათე ხუთწლედის ამოცანები“. კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა პარტიის წულუკიძის რაიკომის პირველმა მდივანმა ვ. კვარაცხელიამ, მოხსენება გააკეთა ჟურნალ „პარტიული სიტყვის“ რედაქტორმა დ. კაკაბაძემ. სიტყვები წარმოთქვეს და თავიანთი მუშაობის გამოცდილებაზე ილაპარაკეს აბრეშუმის ძაფსაღებსაგრეხი ფაბრიკის პარტიული კომიტეტის მდივნის მოადგილემ იდეოლოგიური მუშაობის დარგში ს. ხმელიძემ, წითელვარსკვლავის კოლმეურნეობის აგიტკოლექტივის ხელმძღვანელმა თ. ბარაბაძემ, ქუტირის საშუალო სკოლის პროპაგანდისტმა დ. ჭოლოკავამ, ჩაის საბჭოთა მეურნეობის პოლიტინფორმატორმა მ. გეგიამ, ქუტირის მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის აგიტატორმა ფ. ბობოხიძემ.

●●

ქუთაისის სახლთსაშენებელი კომბინატის კომუნისტთა ინიციატივით აქ რესპუბლიკაში პირველად დაინერგა რკინაბეტონის პანელების დამზადების მოწინავე ტექნოლოგია, რომელიც ბალტიისპირეთის სახლთმშენებლებმა შეიმუშავეს.

ამჟამად კიბის მარშების, მოსაპირკეთებელი ფილებისა და სხვა რთული დეტალების დასამზადებლად ადრინდელთან შედარებით ერთნახევარჯერ ნაკლები დრო იხარჯება, შესამჩნევად შემცირდა ამ დეტალების თვითღირებულება. მემონტაჟეთა ბრიგადის ხელმძღვანელის, შრომის წითელი დროშისა და საპატიო ნიშნის ორდენების კავალერის, კომუნისტ ვ. აბზიანიძის წინადადებით საზოგადოებრივ საწყისებზე შეიქმნა შემდეგელთა სკოლა. მის მსმენელებს მაღალხარისხოვანი და ეკონომიური შედეგების შესახებ ლექციებს უკითხავენ ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მასწავლებლები, ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის გამოცდილი სპეციალისტები, წარმოების ნოვატორები. ამის შედეგად მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ლითონის შედეგების ხარისხი, შემცირდა ელექტროენერგიის ხარჯვა.

კომბინატმა ვადამდე, ჯერ კიდევ შარშან აითვისა საწარმოო სიმძლავრეები, გეგმის გადაჭარბებით საექსპლოატაციოდ გადასცა 16 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. კარგად მიდის საქმეები წლეულსაც.

●●

გარდაბანი. პარტიის გარდაბნის რაიკომის ინიციატივით აქ გაიხსნა მეცხოველეობის სახალხო უნივერსიტეტი, რომლის მსმენელები არიან რაიონის საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელები, სპეციალისტები, საშუალო რგოლის ხელმძღვანელები, ფერმის მუშაკები. უნივერსიტეტში 120 მსმენელია გაერთიანებული. ისინი აქ დაეუფლებიან თანამედროვე მეცნიერების მიღწევებს, რომელსაც მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობისათვის გამოიყენებენ.

უნივერსიტეტის გახსნის დროს სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის გარდაბნის რაიკომის პირველმა მდივანმა გ. კვანტარაძემ. უნივერსიტეტის რექტორად აირჩიეს საქართველოს ზოოვეტერინარული სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტის რექტორი პროფესორი გ. აგლაძე, პროორექტორია პარტიის გარდაბნის რაიკომის მდივანი ზ. მარგველაშვილი.

პირველ დღეს მეცადინეობაზე საინტერესო ლექციები წაიკითხეს პროფესორმა ნ. გოცირიძემ („რძისა და ძროხის ხორცის წარმოების გადიდების ღონისძიებანი საქართველოში“), სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატმა ი. ხუციშვილმა („პირუტყვის კვების ღონისძიებათა გაუმჯობესება“), ვეტერინარიის მეცნიერებათა კანდიდატმა მ. თავამაიშვილმა („ბრუცელოზი და მასთან ბრძოლის ღონისძიებანი“), ვეტერინარიის მეცნიერებათა კანდიდატმა თ. კობახიძემ („რძის შემცველელის გამოყენება ბბორების გამოზრდის საქმეში“). („კომ“. კორ.).

●●

ზუგდიდი, (საკ. კორ.). საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის რაიკომის ბიურომ მოისმინა და განიხილა ახალციხათის გაზეთ „პრავდის“ სახელობის კოლმეურნეობის პარტბიუროს მდივნის ც. ხუფენიას ანგარიში შრომელთა შორის იდეურ-პოლიტიკური და აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებისათვის გაწეული საქმიანობის შესახებ.

აღინიშნა, რომ მასების აღზრდისადმი კომპლექსური მიდგომის თაობაზე სკკპ XXV ყრილობის მოთხოვნებისა და პარტიის ორსკის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესაბამისად კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის მუშაობის პრაქტიკაში დანერგილია მშრომელთა იდეურ-პოლიტიკური, შრომითი, ზნეობრივი აღზრდის კომპლექსურ ღონისძიებათა დაგეგმვა. პარტორგანიზაცია რეგულარულად აწყობს ლექციების ციკლს, შეხვედრებს წარმოების ნოვატორებთან, მართავს თეორიულ კონფერენციებს, კითხვა-პასუხის საღამოებს....

ამ და სხვა ღონისძიებებმა, აღინიშნა ბიუროზე, აამაღლა მშრომელთა აქტიურობა, მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი გეგმავალდებულებების შესრულებას. შედეგიც კარგია. კოლმეურნეობამ ჩაის ფოთლის კრეფის შარშანდელი გეგმა 141,6 პროცენტით შეასრულა და საშუალო ჰექტარობრივი მოსავლიანობა 10.500 კილოგრამამდე გაზარდა. არახელსაყრელი კლიმატური პირობების მიუხედავად საშუალოდ ჰექტარზე მიღებულია 29 ცენტნერი სიმინდის მარცვალი, ერთ საფურაეე ძროხაზე მოწველილია 3050 კილოგრამი რძე და სხვ.

ამასთანავე ბიურომ აღნიშნა ის ნაკლოვანებები, რომლებიც პარტორგანიზაციას აქვს მშრომელთა პოლიტიკური და ეკონომიკური განათლების საქმეში და დასახა მათი გამოსწორების გზები.

●●

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტგანათლების რესპუბლიკური სახლის ბიბლიოთეკაში გაიხსნა მოსკოვის ბაუმანის საარჩევნო ოლქის ამომრჩევლებთან შეხვედრაზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ წარმოთქმული სიტყვისადმი მიძღვნილი გამოფენა. ექსპოზიცია სამი განყოფილებისაგან შედგება: „სკკპ საბჭოთა ხალხის ბელადი, კომუნისტური მშენებლობის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორია“, „საბჭოთა ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის ახალი მაღალი მიჯნები განვლილი პერიოდის მთავარი შედეგია“, „სკკპ ლენინური საგარეო პოლიტიკის წარმატებები“.

გამოფენაზე ფართოდ არის წარმოდგენილი მასალები, რომლებიც ადასტურებენ სოციალისტური დემოკატიის გამარჯვებას, იმას, რომ საბჭოთა ხალხი მთლიანად უჭერს მხარს კომუნისტური პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ლენინურ კურსს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

უნგრელი ხალხის დღესასწაულის აღსანიშნავად

უნგრეთის საბჭოთა რესპუბლიკის გამოცხადების მე-60 წლისთავს მიეძღვნა თბილისის საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა კრება, რომელიც 21 მარტს გაიმართა საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოებაში.

კრების მონაწილენი გულთბილად შეხვდნენ საკავშირო პროფსაბჭოს მოწვევით ჩვენს ქვეყანაში მყოფ სრულიად უნგრეთის პროფკავშირთა საბჭოს დელეგაციას, რომელსაც მეთაურობს უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სრულიად უნგრეთის პროფკავშირთა საბჭოს გენერალური მდივნის შანდორ გაშპარის ბაბასოვლს. უნგრელი ხალხი, თქვა მან, ამაყობს, რომ საბჭოთა ადამიანებთან ერთად ახალი წარმატებებით ეგებება ოქტომბრის საუკუნეს. სახალხო უნგრეთი განვითარებული სოციალიზმის მშენებლობას შეუდგა და სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ძმური ოჯახში ამაავლებს თავის მატერიალურ და სულიერ დოვლათს.

შ. გაშპარმა საბჭოთა კავშირ-უნგრეთის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილების გამგეობის თავმჯდომარემ, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ა. ბარამიძემ.

კრებაზე გამოვიდნენ თბილისის სსრ კავშირის 50-ე წლისთავის სახელობის საწარმოო გაერთიანების ელექტრომემონტაჟე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ლ. რაზმაძე, ომის ვეტერანი, ბვარდიის მე-20 ბუდაპეშტის კორპუსის ყოფილი პოლიტგანყოფილების უფროსი, საბჭოთა და უნგრული საბრძოლო ორდენების კავალერი მ. ჩიქოვანი, თბილისის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი მ. ჩადუნელი, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი გ. აბაშიძე.

შეკრებილნი დიდი ყურადღებით შეხვდნენ უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სრულიად უნგრეთის პროფკავშირთა საბჭოს მდივნის ბაუმანის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე 1979 წლის 2 მარტს წარმოთქმული სიტყვიდან და პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებებიდან სოციალისტური კანონიერების შემდგომი განმტკიცების საკითხებზე.

მოხსენება გააკეთა რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრმა ა. შუშანაშვილმა.

კოლეგიის გაფართოებულ სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის იუსტიციის მინისტრმა ვ. ტერებილოვმა.

სხდომაზე აღინიშნა, რომ რესპუბლიკის იუსტიციისა და სასამართლო ორგანოებმა გააუმჯობესეს მუშაობა კანონიერებისა და მართლწესრიგის უზრუნველსაყოფად, მშრომელთა სამართლებრივი აღზრდის გასაძლიერებლად. უფრო მიზანდასახულად გამოიყენება დანაშაულობათა და სამართალდარღვევათა თავიდან აცილების ღონისძიებანი, რომელიც კანონით არის გათვალისწინებული. ამის შედეგად საგრძნობლად შემცირდა გაუქმებული განაჩენებისა და გადაწყვეტილებების რიცხვი, ამაღლდა გამსჯელი სასამართლო სხდომების, კერძო განჩინებების ხარისხი და ეფექტიანობა, გაუმჯობესდა მეთოდიკური ხელმძღვანელობა სახალხო მეურნეობაში მიმდინარე სამართლებრივი მუშაობისადმი, კანონმდებლობის სრულყოფისადმი, სსრ კავშირის კონსტიტუციისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციისათვის მისი შესაბამისობაში მოყვანისადმი.

ამასთანავე სხდომაზე აღინიშნა, რომ იუსტიციისა და სასამართლო ორგანოების მუშაობაში ჯერ კიდევ არის ნაკლოვანებანი. ამ ორგანოების საქმიანობის დონე სრულად არ შეესაბამება პარტიის მოთხოვნებს სოციალისტური კანონიერების, სახელმწიფო დისციპლინის შემდგომი განმტკიცების, სამართალდარღვევათა თავიდან აცილებისა და აღკვეთის შესახებ. ეს განსაკუთრებით შეეწყნარებელია რესპუბლიკის მშრომელთა იმ წარმატებების ფონზე, რომელთა აღსანიშნავადაც საქართველოს სსრ რესპუბლიკას 1978 წლის სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მოპოვებული წარმატებებისათვის მიენიჭა სკკპ ცენტრალური. კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

მიუხედავად იმისა, რომ მთელი რიგი ღონისძიებანი ხორციელდება კანონიერების, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განსამტკიცებლად, ფორმალიზმისა და ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გასაძლიერებლად, — იუსტიციისა და სასამართლო ორგანოების საქმიანობაში ჯერ კიდევ არ იგრძნობა ძირეული გარდატეხა, რაც აღნიშნულ ორგანოებს ავალებს გადაჭრით აღკვეთონ არსებული ნაკლოვანებანი და ხარვეზები, ყოველმხრივ სრულყონ მართლმსაჯულების აღსრულებასთან დაკავშირებული მუშაობის ფორმები და მეთოდები.

დიდი ყურადღება დაეთმო სხდომაზე არასრულწლოვანთა შორის სამართალდარღვევების თავიდან ასაცილებლად მიმდინარე მუშაობის ეფექტიანობის ამაღლების პრობლემებს.

სასამართლო პრაქტიკაში ჯერ კიდევ ხშირად ჭიანურდება და ირღვევა სასამართლო გარჩევის ვადები, ბიუროკრატიულად უდგებიან მშრომელთა საჩივრებს.

კოლეგიის მიერ მიღებულ დადგენილებაში ხაზგასმულია, რომ იუსტიციისა და სასამართლო ორგანოების ყველა მუშაკის მეცადინეობა უნდა მოხმარდეს დანაშაულობათა ბრძოლის ეფექტიანობის შემდგომ ამაღლებას. სოციალისტური კანონიერების განუხრელ დაცვას.

კოლეგიის გაფართოებულ სხდომაში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი გ. კოლბინი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგე გ. გვეტაძე.

(საქინფორმი).

საზანო-მამა-შვილის საასპარეზოდ?!

რედაქციაში წერილი მოვიდა. ავტორი წერს, რომ ზედა საზანოს 26 კომისრის სახელობის კოლმეურნეობის თავკაცი ვლადიმერ ჭანტურიძე და მისი მამა, ყოფილი თავმჯდომარე ანდრო ჭანტურიძე თვითნებობენ, გამოწვევად იქცევიან. უფრო მეტად ზრუნავენ საკუთარ ოჯახებზე, საზოგადოებრივი საქმე კი ავიწყდებათ და სხვ.

მკითხველის სიგნალის შესასწავლად თერჯოლაში ჩავედით. რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი ვ. ზარნაძე ისე გაეცნო გულსატკენი რვაგვერდიანი წერილის შინაარსს, რომ წარბიც არ შეუხრია. მისი რეაქცია მხოლოდ იმით გამოიხატა, რომ ირონიულად ჩაიღიმილა და დინჯი, ოდნავ ხელოვნურად დაბოხებული ხმით „ლოგიკურად“ დაასკვნა:

— ვიცი, ვისი დაწერილიც არის. მეტის ღირსნიც ვართ. ამას წინათ სამუშაოდან გავთავისუფლეთ ამ კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმის გამგე გ. კვანტიძე, რომელმაც მწყემსს რ. ვარდოსანიძეს საკოლმეურნეო ბაზარზე პირადი მითითებით გაყიდინა საზოგადოებრივი მეურნეობის კუთვნილი პირუტყვი. აღებული ფული გაინაწილეს და ამის გამო პასუხისგებაშიც არ მივეცით... ასეთი გადაგვარებული ადამიანი კაცმა საქმეს არ უნდა გააკარო. რაც შეეხება ვლ. ჭანტურიძეს, მაგისთანა თავმჯდომარეები სანატრელი გეყავს...

ამ აღმაშფოთებელმა ფაქტმა საქმეს უფრო სერიოზული ხასიათი მისცა. კოლმეურნეობაში წასვლა გადავწყვიტე. სამმართველოს უფროსს სახეზე უსიამოვნების კვალი აშკარად დაეტყო. ჯერ კოკისპირული წვიმა მოიმიზეზა, შემდეგ უგზოობა, და ბოლოს, რომ აღარაფერი გამოუვიდა, გულახდილად თქვა, რომ იმ სოფელში წასასვლელად თავის მანქანას ვერ გაიმეტებდა. დიდი ლოდინის შემდეგ, როგორც იქნა, საზანოსაკენ გზა „დაგვიღოცეს“.

მართლაც, სარისკო ყოფილა ამ სოფელში წასვლა. რამდენიმე ადგილას ყველანაირი კინაღამ ღელეებში მოდიდებულმა წყალმა წაიღო. გულწრფელად შეგვეცოდნენ გორაკზე შეფენილი ამ სოფლის მცხოვრებნი.

ნუ გაგიკვირდებათ, რომ გაბედულად ვამბობთ სატკივარს, ნათქვამია, დაფარული სენი არ იკურნებაო. 26 კომისრის სახელობის კოლმეურნეობა სულ 3-4 კილომეტრით არის დაშორებული საკმაოდ კეთილმოწყობილი სასოფლო საბჭოს ცენტრს. ეს არცთუ ისე დიდი მანძილი გადაულახავ ხღუდედ აღუდგა 452-კომლიან კოლმეურნეობის მშრომელებს. უგზოობის გამო აქ ავტობუსი არ დადის, წლობით არ უჩვენებენ კინოფილმებს, სოფელში არ არის რაღაი. გამომცხვარ პურს 4-5 კილომეტრიდან ეზიდებიან, არ არის წყალსადენი, საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტები. კიდევ კარგი, ელექტროხაზია გაყვანილი და ტელევიზორი მუშაობს, და ქვეყნის ამბებს მაინც ეცნობიან.

ყოფილი და დღევანდელი თავკაცები სოფლის პატრიოტები რომ იყვნენ, შეუძლებელი და გაუკეთებელი არაფერი იქნებოდა. გვახსენდება რედაქციაში გამოგზავნილი წერილის ავტორის მიერ მოყვანილი მამა-შვილის ცინიკური გამოთქმა — საზანოელებს ავტობუსი რომ გამოვუყოთ, სეირნობაში გაცდებიანო, ვისაც გადაუდებელი საქმე აქვს, ფეხითაც კარგად ივლისო.

რადგან პიროვნულ ხასიათზე ჩამოვარდა ლაპარაკი, ერთი დეტალიც უნდა აღინიშნოს, ამაზე მართლაც ღირს სერიოზული სჯა-ბაასი.

შარშან 6 სექტემბერს, კოლმეურნეობის თავმჯდომარის ვლ. ჭანტურიძის მამიდის ქმარმა, მეველე ლ. ჩუბინიძემ სანაფვარაო ნათესავი დაიჭირა თავისი მომდურავი მეზობლის. ი. ჩუბინიძის ორი პირუტყვი. სექტემბრის დამდეგს ოდნავ ამოსულ ნათესს მაინცდამაინც დიდი ზარალი არ მოსვლია და თითქოს საგანგაშო არაფერი იყო. წესი წესია, შედგა წანახდენის აქტი, რამაც 18 მანეთი შეადგინა. პირუტყვი კი კანტორის ახლოს ფარეხში დაამწყვდიეს. მეზობლური შურისგების გამო პირუტყვი პატრონს პირველსავე მოკითხვაზე როდი გაატანეს. ამ ამბით გაგულისებულმა პატრონმა არ მიაკითხა და ხუთი დღის შემდეგ დასახბოიანებელი ძროხა და ხარი დაიხოცნენ.

ამ საქმემ სახელმწიფო დაწესებულების მრავალი ინსტანცია მოიარა, მაგრამ დამნაშავე გაურკვეველი დარჩა, სოფლის თავკაცმა საკუთარი ინიციატივით ი. ჩუბინიძის დახოცილი პირუტყვის ღირებულება 730 მანეთი მთელ აქტივს გადაახდევინა. პირდაპირ, გასაოცარია, რატომ აზღვევინეს ტრაქტორისტებს, ბრიგადირებს, აგრონომ-ექნიკოსებს, საქმეთა მმართველს, მოანგარიშეს და რიგითს პატიოსან კოლმეურნეებს? ამით თავმჯდომარემ ერთ დანაშაულს მეორე დანაშაული მიუმატა.

კოლმეურნეობის თავკაცის უგერგილობასა და თვითნებობას ბევრი სხვა ფაქტიც ადასტურებს: შარშან ივნისში ვენახის ბოძებისათვის კოლმეურნეობამ წყალტუბოს სატყეო მეურნეობას 790 მანეთი გადაურიცხა. კოლმეურნეები ბოძების დასამზადებლად და ტყიდან სამანქანო გზაზე გამოსაზიდად წყალტუბოს რაიონში გაგზავნეს. მათ იქ რამდენიმე დღეს იმუშავეს, მაგრამ საქმე ბოლომდე ვერ მიიყვანეს და მცირე რაოდენობით დამზადებული ბოძები მიატოვეს. მიუხედავად ამისა, გასამრჯელო ყველა კოლმეურნეს გამოუწერეს. წლის ბოლოს სატყეო მეურნეობამ კოლმეურნეობას უკან გადმოურიცხა აუთვისებელი თანხა. არავინ იფიქროს, თითქოს ბოძები არ სჭირდებოდეთ. არა, აქ, ვენახის თითქმის მთელი ფართობები შემოუღობავი აქვთ, ზვრებს პირუტყვი ანადგურებს, ხოლო 27 ჰექტარ ახალშენში ვაზები შპალერზეა გადასაყვანი.

უყაირათობის კიდევ ერთი ნიმუში: საავტომობილო გზაზე წყალგამტარის მოსაწყობად კოლმეურნეობის ბუღალტერიაში თერჯოლის სარემონტო-სამშენებლო უბანს 765 მანეთის ანგარიში წარმოუდგენია. ეს მაშინ, როცა ახლად მშენებარე კანტორის ეზოში, სადაც საკმაოდ აქვთ ყოველგვარი მასალა, რამდენიმე კოლმეურნეს ნახევარ დღეში შეეძლო წყალგამტარის გაკეთება.

თავმჯდომარე რომ თავის სოფლიზე იყოს, ვერც ფერმის გამგე გაუბედავდა საკოლმეურნეო ბაზარზე კოლმეურნეობის კუთვნილი პირუტყვის გაყიდვას.

თანასოფლელებს ისიც აღელვებთ, რომ შვილის საქმეებში მამა უხეშად ერევა. ა. ჭანტურიძე საზანოელებმა თავის დროზე გადაირჩინეს თავმჯდომარეობიდან. ამის შემდეგ მან „კეთილი“ მეგობრების დახმარებით ალისუბანში სცადა ბედი, მაგრამ ხელი მოეცარა — საკოლმეურნეო საქმიანობის სუსტი ხელმძღვანელობის გამო საყვედურებით სავსე გამოაბრუნეს უკან. მერე ვიღაცამ ისევ „წაკრა ხელი“, და ანდროს სატრაქტორო ბრიგადა ჩაიბარეს, თუმცა ტრაქტორისა მას არა გაეგებარა. ბედიც ამას ჰქვია, კვლავ სოფლის ხელმძღვანელობაში გაერია და თანაც სად? — საკუთარი შვილის სათავაკაცო კოლმეურნეობაში.

ამას წინათ კოლმეურნეობაში საანგარიშო კრება გაიმართა. თავმჯდომარის მოხსენების მიხედვით გამგეობის მუშაობა ურიგოდ როდი გამოიყურება. კონკრეტული ფაქტები კი სულ სხვას მოწმობს. ჩავიხედოთ თვით მოხსენებაში, გავაანალიზოთ წარმოდგენილი ციფრები. შარშან არ შესრულებულა ყურძნისა და მარცვლეულის წარმოების დავალება, მეცხოველეობიდან მიღებულმა ზარალმა 50 ათას მანეთს გადააჭარბა, საერთო ფულადმა შემოსავალმა 276.861 მანეთი შეადგინა, რაც საწარმოო დავალება 22 ათასი მანეთით ნაკლებია. სამაგიეროდ სოფლის თავკაცები სამეურნეო წლის განმავლობაში ფულს ხელგაშლილად ხარჯავდნენ, რამაც 320.658 მანეთს მიაღწია, ანუ ფაქტიურ შემოსავალზე 43.797 მანეთით მეტს. და აი საკვირველება, თურმე კოლმეურნეობა მაინც რენტაბელურია და სამეურნეო წელიც მოგებით დაუმთავრებიათ. კაი საბუღალტრო ბალანსი კი გამოუყვანიათ(!). ვის სჭირდება ეს?

პირდაპირ უნდა ითქვას, კოლმეურნეობის გამგეობის საქმიანობაში ძალზე ბევრი სერიოზული ნაკლია. აქ შექმნილი მდგომარეობა რაიონის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების პრინციპულ მსჯელობას მოითხოვს.

ერთხელ კიდევ გვინდა შევახსენოთ სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსს ვ. ზარნაძეს, რომ სოფლის ავ-კარგისადმი მეტი ინტერესის გამოჩენაა საჭირო და, თუ მართლა სურს საზანოელებს „სანატრელი“ თავმჯდომარე ჰყავდეთ ვლ. ჭანტურიძის სახით, მაშინ უფრო მეტი პრაქტიკული დახმარება უნდა გაუწიოს ადგილზე მისვლით. საქმისადმი ასეთი მიდგომა სოფელსაც არგებს, მის ახალგაზრდა თავკაცსაც და არც რაიონის ხელმძღვანელთა ავტორიტეტისათვის იქნება ურიგო.

ო. ნიქაბაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

მეცხოველეობას — მთელი გულისყური!



ქასპის რაიონში მწყობრში ჩადგა 8750 სული პირუტყვისათვის გათვალისწინებული ახალი მეღორეობის კომპლექსი. მის ხუთივე ფერმაში პირუტყვის მოვლის პროცესები მექანიზებული და ავტომატიზებულია. იყენებენ ავტოსარწყულებლებს, საკვების გამნაწილებლებს, სპეციალურ დანადგარებს მუდმივი მიკროკლიმატის შესანარჩუნებლად, კომპლექსს აქვს ძირხვენიანისა და კომბინირებული საკვების შესანახი საწყობები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ივლისის პლენუმის შემდეგ საექსპლოატაციოდ გადაეცა რამდენიმე მეცხოველეობის კომპლექსი, რომლებიც თითქმის 100 ათასი სული ღორისათვის არის გათვალისწინებული. ამან მნიშვნელოვნად დაზოგა ფულადი სახსრები, შეამცირა პროდუქციის თვითღირებულება.

სურათებზე: ქასპის სამეურნეობათშორისო გაერთიანების ახალი მეღორეობის კომპლექსი; კომპლექსის მწყობრში ჩადგომის პირველივე დღიდან კარგი მუშაობით თავი ისახელა ოპერატორმა, კომკავშირელმა თამილა ბახტაძემ; ოპერატორი ნუნუ ოპეზაშვილი და ზოოტექნიკოსი ვახტანგ მერაბიშვილი კომპლექსის ერთ-ერთ ფერმაში.

ი. დავითაშვილის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ნაკლოვანებათა შეუწყნარებლობის სულისკვეთებით

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კოლეგიის გაფართოებული სხდომა

გაიმართა საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კოლეგიის გაფართოებული სხდომა, რომელმაც განიხილა რესპუბლიკის იუსტიციის ორგანოებისა და სასამართლოების 1978 წლის მუშაობის შედეგები და ამოცანები, რომლებიც გამომდინარეობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ ქალაქ მოსკოვის ბაუმანის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე 1979 წლის 2 მარტს წარმოთქმული სიტყვიდან და პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებებიდან სოციალისტური კანონიერების შემდგომი განმტკიცების საკითხებზე.

მოხსენება გააკეთა რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრმა ა. შუშანაშვილმა.

კოლეგიის გაფართოებულ სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის იუსტიციის მინისტრმა ვ. ტერებილოვმა.

სხდომაზე აღინიშნა, რომ რესპუბლიკის იუსტიციისა და სასამართლო ორგანოებმა გააუმჯობესეს მუშაობა კანონიერებისა და მართლწესრიგის უზრუნველსაყოფად, მშრომელთა სამართლებრივი აღზრდის გასაძლიერებლად. უფრო მიზანდასახულად გამოიყენება დანაშაულობათა და სამართალდარღვევათა თავიდან აცილების ღონისძიებანი, რომელიც კანონით არის გათვალისწინებული. ამის შედეგად საგრძნობლად შემცირდა გაუქმებული განაჩენებისა და გადაწყვეტილებების რიცხვი, ამაღლდა გამსჯელი სასამართლო სხდომების, კერძო განჩინებების ხარისხი და ეფექტიანობა, გაუმჯობესდა მეთოდიკური ხელმძღვანელობა სახალხო მეურნეობაში მიმდინარე სამართლებრივი მუშაობისადმი, კანონმდებლობის სრულყოფისადმი, სსრ კავშირის კონსტიტუციისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციისათვის მისი შესაბამისობაში მოყვანისადმი.

ამასთანავე სხდომაზე აღინიშნა, რომ იუსტიციისა და სასამართლო ორგანოების მუშაობაში ჯერ კიდევ არის ნაკლოვანებანი. ამ ორგანოების საქმიანობის დონე სრულად არ შეესაბამება პარტიის მოთხოვნებს სოციალისტური კანონიერების, სახელმწიფო დისციპლინის შემდგომი განმტკიცების, სამართალდარღვევათა თავიდან აცილებისა და აღკვეთის შესახებ. ეს განსაკუთრებით შეუწყნარებელია რესპუბლიკის მშრომელთა იმ წარმატებების ფონზე, რომელთა აღსანიშნავადაც საქართველოს სსრ რესპუბლიკას 1978 წლის სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მოპოვებული წარმატებებისათვის მიენიჭა სკკპ ცენტრალური. კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

მიუხედავად იმისა, რომ მთელი რიგი ღონისძიებანი ხორციელდება კანონიერების, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განსამტკიცებლად, ფორმალიზმისა და ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გასაძლიერებლად, — იუსტიციისა და სასამართლო ორგანოების საქმიანობაში ჯერ კიდევ არ იგრძნობა ძირეული გარდატეხა, რაც აღნიშნულ ორგანოებს ავალებს გადაჭრით აღკვეთონ არსებული ნაკლოვანებანი და ხარვეზები, ყოველმხრივ სრულყონ მართლმსაჯულების აღსრულებასთან დაკავშირებული მუშაობის ფორმები და მეთოდები.

დიდი ყურადღება დაეთმო სხდომაზე არასრულწლოვანთა შორის სამართალდარღვევების თავიდან ასაცილებლად მიმდინარე მუშაობის ეფექტიანობის ამაღლების პრობლემებს.

სასამართლო პრაქტიკაში ჯერ კიდევ ხშირად ჭიანურდება და ირღვევა სასამართლო გარჩევის ვადები, ბიუროკრატიულად უდგებიან მშრომელთა საჩივრებს.

კოლეგიის მიერ მიღებულ დადგენილებაში ხაზგასმულია, რომ იუსტიციისა და სასამართლო ორგანოების ყველა მუშაკის მეცადინეობა უნდა მოხმარდეს დანაშაულობათა ბრძოლის ეფექტიანობის შემდგომ ამაღლებას. სოციალისტური კანონიერების განუხრელ დაცვას.

კოლეგიის გაფართოებულ სხდომაში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი გ. კოლბინი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგე გ. გვეტაძე.

(საქინფორმი).

საპატიო წოდების მინიჭება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამეცნიერო-ტექნიკურ ბიბლიოთეკებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ბიბლიოთეკის გამგეს ამხ. ლეილა იოსების ასულ **კოტაშვილს** მიენიჭა საქართველოს სსრ დამსახურებული ბიბლიოთეკარის საპატიო წოდება.

დაჯილდოება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით სოფლის მეურნეობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით აჭარის ასსრ სოფლის მეურნეობის საწარმოო-ტექნიკური უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. არჩილ შემდიის ძე **ბოლქვაძე** დაჯილდოდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

„კომუნისტის“ საგუშაგო
მეტროს
მეორე
რიგის
მუშენებლობაზე

ერთიანი ძალით

გვირაბგამყვანთა პატრიოტული თაოსნობა

როგორც უკვე ცნობილია, თბილისის მეტროპოლიტენის მეორე რიგი მწყობრში მიმდინარე წლის სექტემბერში უნდა ჩადგეს. იმ ხუთი სადგურიდან, რომლებიც ამ მიწისქვეშა მაგისტრალზე იგება, ყველაზე მნიშვნელოვანია „ვაგზლის მოედნის“ მეორე გად

ხსოვნა გულისა

ყამირის ევოპეის უცნობი ფურცლები

ორმოცდაათიანი წლების ახალგაზრდობა ღირსეული მემკვიდრეა იმ ბრწყინვალე თაობისა, რომლებმაც მხრებით ზიდა პირველი ხუთწლედების ტვირთი, რომლის უმგალითო გმირობამაც იხსნა ჩვენი სამშობლო ფაშიზმისაგან. ეს ახალგაზრდობა გამოიწრთო და გაფოლადდა ომის მძიმე წლებში. სწორედ ამ გმირული თაობის მემკვიდრეთა რამდენიმე წარმომადგენელზე მინდა გესაუბროთ.

1958 წელს ყაზახეთში ქართველ ყამირელებს ვახლდი. საქართველოს ჭაბუკების შვიდეთასიანი რაზმი, სამშობლოს დაძახილზე, ყამირის გასატეხად ყაზახეთის ტრამალებში წავიდა. ახალგაზრდები ზარ-ზეიმითა და ქადილით არ წასულან, არავის უფიქრია, გმირობაზე. ბევრი მათგანის ოჯახებში ჯერ კიდევ ცხელი იყო ფრონტულ სამკუთხა ბარათებზე დაღვრილი ცრემლი და ქუჩაში მკერდდამშვენებული მეომრის გამოჩენა კვლავ ცხოვლად ოცადგენდა ახლო წარსულის ბრძოლების მგრეულ დღეებს. ამიტომ იმ ახალგაზრდების რწმენაში ყამირზე წასვლა ჩვეულებრივი, პატრიოტული ვალი იყო.

მაგრამ შემდეგში განვლილმა დრომ გვიჩვენა, რომ მათი საქმე და ცდა გმირობა იყო, ხოლო თვით ეს ჭაბუკები — ღირსეული მამულიშვილები!

როდესაც ნოდარ ნოდიას შესახებ მოგონება შევთავაზე მკითხველს, ხოლო თვით ნ. ნოდია იქცა ორმოცდაათიანი წლების ახალგაზრდობის ლამაზ ლეგენდად, იმთავითვე მაწვალებდა ყამირისეროინდელი უბის წიგნაკის ერთი ჩანაწერი. კარგად ვიცოდი ის ჩანაწერი რაზეც მეტყველებდა, მაგრამ ბევრი დეტალის დაზუსტება იყო საჭირო:

...და აი, მკითხველს ვთავაზობთ კიდევ ერთ ლეგენდად ქცეულ ამბავს, რომელსაც საკვლევით მიზეური ნიადაგი აქვს.

თბილისში კუკიის სასაფლაოზეა დაკრძალული 21 წლის ჭაბუკი გურამ ვლადიმერის ძე ხუბულური. ხალხთა მეგობრობის მუზეუმის მეცნიერმა თანამშრომელმა, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა მზია ზაქარიაძემ ჩემი ჩანაწერების კვალდაკვალ ძიება სასაფლაოდან დაიწყო. სასაფლაოს მომვლელთა გამოკითხვით დაადგინა ჭაბუკის დედის მისამართი, და მიადგა თბილისში, მონტინის მესამე შესახვევის № 30 სახლს. პატარა ეზოში გაზაფხულმა ხეხილი აეყვავა. მარიამი სათუთად უვლის ერთადერთი შვილის ხელით დარგულ ხეს, გურამის სახსოვრად გახარებულს. ეზოში რომ შეხვიდე, გურამის ხელით გათლილ-შეკრული ჯიშკარი უნდა შეაღო, თითქოს მასპინძელივით გეგებება, ხელს გართმევს.

დედამ ბევრი რამ გაიხსენა.

...და ჩემს წინ გაცოცხლდა ყამირული წარსული:

1958 წლის სექტემბერი იყო. თვის დასაწყისში მოთოვა და აცივდა. საქართველოში ჩვენი დაბრუნება გადაიდო, რადგან მოსავლის მოლიანად აღება ვერ მოვასწარით და გამოდარებისთანავე ვაპირებდით მომკილ-გალეწილის დაბინავებასაც და დარჩენილის მომკასაც. არც ელევატორების, ფერმების, სკოლებისა თუ კულტურის სახლების შენებლობა გვქონდა მოთავებული. ამინდმა კი გვიმუხთლა. საბაფხულოდ ვიყავით გამოწყობილები და ადგილზე მოგვიხდა თბილი ტანსაცმლის შოვნა. გარდა ამისა, დავუკავშირდით საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტს, და ჩვენი რესპუბლიკის შვიდი ათასი კაცისათვის თანდათანობით ჩნდებოდა თბილი ტანსაცმელი.

არ მახსოვს ვინმე აბუზღუნებულიყოს, ან უკმაყოფილება გამოეთქვა. სამაგიეროდ კარგად მახსოვს, რომ, რადგან დრო საშური იყო, ბიჭები ღამითაც მუშაობდნენ, და ერთ ცვლას რომ ეძინა, მათ ტანსაცმელში ჩამთბარი მეორე ცვლის ბიჭები მუშაობდნენ. ყველამ იცოდა თავისი საქმე და ყველა თანაბრად ეძებდა გამოსავალს.

თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის საინჟინრო ინსტიტუტის სტუდენტები კუსტანაის ოლქის ფედოროვკის რაიონის სოფელ ჩანდაკის მემინდვრეობის საბჭოთა მეურნეობაში მუშაობდნენ. ამ მეურნეობის პირველ განყოფილებაში იყო გურამ ხუბულური. აქაც ისეთივე მძიმე დღეები იდგა.

გურამს მეგობარი ჰყავდა, ჯემალ შალვას ძე ფოფხაძე, ისიც მომავალი ინჟინერი. 18 სექტემბერს გამოგზავნილ წერილში ჯემალი მშობლებს სწერდა: ერთ კვირაში გამოვემგზავრებით და თბილისს 1500 წლის ზეიმს ჩამოვუსწრებთო.

ჯემალის და იხსენებს: ჩემი ძმა დაუდეგარი ბუნებისა იყო. სპორტსმენი (ბევრჯერ დაუცავს ინსტიტუტის სპორტული ღირსება), რომელიც გატაცებით მისდევდა ფეხბურთს, კალათბურთს, განსაკუთრებით — ტანვარჯიშს, იყო მარადის ქუჩის ბიჭუნების უფროსი მეგობარი, მწვრთნელი და დამრიგებელი.

ყამირზე წასვლის წინ სოფელში ჩასულა. „სხივჩამდგარი თვალები ჰქონდა და რაღაც სხვანაირი იყო, თითქოს უფრო ლამაზი, ვიდრე საერთოდ, ამ სილამაზეს შინაგანი სიხარული მატებდა“ — წერს ჯემალის და. —

...და შვიდი ათას ჭაბუკს შორის ყამირზე წავიდნენ ჩვეულებრივი ახალგაზრდები ჯემალ ფოფხაძე და გურამ ხუბულური.

1958 წლის 3 ოქტომბრის ნომერში ინსტიტუტის მრავალტირაჟიანი გაზეთი „კადრები ტრანსპორტს“ პირველ გვერდზე წერილს ასეთი სათაურით ბეჭდავს: „ყამირელები მალე სწავლას შეუდგებიან“, იმავე გაზეთის მეოთხე გვერდზე კი ორი ნეკროლოგია. ორ ლამაზ ჭაბუკზე — გურამ ხუბულურისა და ჯემალ ფოფხაძის ტრაგიკულ სიკვდილს რომ გვამცნობს:

ამბავი ასე დატრიალდა: სექტემბრის ბოლო დეკადა იქნებოდა, სურსათისა და საშენ მასალათა მოწოდება იმ განყოფილებისათვის, სადაც ეს ორი მეგობარი მუშაობდა, შეფერხდა.

დილით მოულოდნელად გამოიდარა, ღრუბლები გადაიკრიფა და მზემაც გამოიხედა. ჯემალსა და გურამს უფიქრიათ: საბჭოთა მეურნეობასთან მეორე დღეა კავშირი არა გვაქვს, მოვიცადოთ შუადღემდე და, თუ არაფერი გამოჩნდა, ჩავიდეთ ცენტრში, იმ დროისათვის კიდეც ჩამოთბებაო.

12 საათზე ფეხით გაუდგნენ გზას. 20 კილომეტრი სავალი ჰქონდათ.

იმ დღეს ბიჭები არ დაბრუნებულან.

მინდა გაგახსენოთ ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვები მისივე „ყამირიდან“, „თუ რას ნიშნავს ქარბუქი სტეპში: ბევრს ბავშვობიდანვე ახსოვს ა. ს. პუშკინის „კაპიტნის ქალიშვილიდან“. მეც მინახავს, რა მაცდურია სტეპი. უყურებ და ჰორიზონტიდან ჰორიზონტამდე მოჩანს ყინვიანი ლურჯი თაღი. კაშკაშებს მზე, მაგრამ გაივლის ნახევარი საათი და წყვდიადი ჩამოწვება, დატრიალდება, აზუზუნდება, აღმუვლდება ქარბუქი“.

ასეთი ქარბუქი დატრიალდა, აზუზუნდა და აღმუვლდა ბიჭების წასვლიდან ერთი საათის შემდეგ.

გურამ ხუბულური.



ჯემალ ფოფხაძე.

ჯემალისა და გურამის თანამებრძოლი ბიჭები შეშფოთებულან. საღამოხანს განყოფილებაში გაჭირვებით მოაღწია მეურნეობიდან გამოგზავნილმა სატვირთო მანქანამ და გაიგეს, რომ ბიჭები მეურნეობაში არ ჩასულან და ეს შეშფოთება მოუსვენარ წუხილში გადაიზარდა.

დაიწყო ძებნა.

ცენტრალურ შტაბში ფედოროვკიდან შეგვატყობინეს ორი ბიჭის დაკარგვის ამბავი. სასწრაფოდ ჩავედით ფედოროვკაში, ადგილობრივი ხელისუფლების ხელშეწყობით მოგვცეს ტრაქტორი, ბულდოზერი, გრეიდერი და მძებნელთა ჯგუფი დაადგა ოცკილომეტრიან გზას მეურნეობიდან განყოფილების ბანაკამდე.

ღამით ვერაფერი გავაწყვეთ. სისხამზე ძებნა განვაახლეთ და შუაგზაზე, გზიდან ასიოდე მეტრის დაშორებით, წავაწყდით ბიჭებს....

სიკვდილი თავისთავად შემზარავია, რადგან მკაცრი და ულმობელია. მაგრამ ზოგჯერ სიკვდილიც უძლურია სიცოცხლის, ადამიანური სიყვარულის, კაცური ვალისა და ერთგულების წინაშე.

ასეთ სურათს წავაწყდით მეათე კილომეტრზე:

ხომ მოგახსენეთ, ჯემალი სპორტსმენი იყო, საშუალო ტანის, გურამი ფიზიკურად უფრო ძლიერი იყო, მაღალი, ვეება, გამოცდილი მოკრივე. როგორც ჩანს ჯემალს გასჭირვებია, ძალა გამოლეულა, ისეთ ქარბუქში ტრაქტორსაც უჭირს ხოლმე. მაშინ გურამს აუკიდია მეგობარი და ასე, უტარებია, ვიდრე თავადაც ძალა არ გამოლეულა.

ასე მხარზე მოკიდებული, ერთმანეთს ჩახვეული ვიპოვნეთ ისინი გაყინულები.

გურამს ისე მძლავრად ჩაეკვლო ხელები ჯემალის მკლავისათვის, ვერ დავაშორეთ, ვერ გავუხსენით თითები.

ყამირზე რომ წავიდა, გურამს რამდენიმე თვის შერთული ჰყავდა ცოლი. ბარათებს ხშირად გზავნიდა თბილისში. მისი ყოველი წერილი ასე იწყებოდა: „სალამი მშობლებს, მეუღლეს და ყველა ნათესავს“...

მიზნად არ დამისახავს ამ ამბის გახსენებით მკითხველისათვის თვალზე ცრემლი მომეგვარა. გურამი და ჯემალი მგრიები იყვნენ და მგრიებს ტირილი არ უხდებათ. ეს ამბავი იმიტომ გავიხსენე, რომ დღევანდელი ახალგაზრდობის წინაშე წარმოგაჩინო ორმოცდაათიანი წლების ახალგაზრდობის რამდენიმე წარმომადგენელი. დასაწყისში ჭეშმარიტი პარაკი იმ განსაკუთრებული პირობების შესახებ, რომლებშიც ჩამოყალიბდა და დავაჟკაცდა ორმოცდაათიანი წლების თაობა. ამით დღევანდელი თაობისათვის დაპირისპირება არ მქონია ფიქრად. ჩვენ დღეს კარგი ახალგაზრდობა გვყავს და მინდა მას შევახსენო, იცოდეს „ვისი გორისაა“ და ხამს ერთგულება წინაპართა საქმისა!

არ იქნება ურიგო, თუ ჩვენს პიონერ-მოსწავლეებსაც შევახსენებ: თბილისში, მონტინის მესამე შესახვევის № 30-ში ცხოვრობს ხნიერი ქალი, დედა გმირისა, ათმაგად და ასმაგად შეუმსუბუქდება ჯავრი მათი მზრუნველობით, მათი გულების სითბოთი.

...და კიდევ ერთი (ეს უკვე კომკავშირულ ორგანიზაციებს, საზოგადოებრიობას ეხება): გვაქვს დიდებულ წინაპართა პანთეონი. ამითი მხოლოდ მათდამი პატივისცემას არ გამოხატავთ, თაობებსაც ვზრდით იმ რწმენით, რომ ხალხის სამსახური უკეთილდ არ გაჭრება: გადაწყვეტილია რევოლუციის გმირთა პანთეონის შექმნაც. აღმოჩენა არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ რევოლუცია არ დამთავრებულა, იგი გრძელდება ომშიც, ყამირზეც, გრძელდება დღესაც, ჩვენს ყოველდღიურ საქმიანობაში, ჩვენს საბოლოო გამარჯვებამდე. ამიტომ ნოდარ ნოდიას, გურამ ხუბულურის, ჯემალ ფოფხაძისნაირ ადამიანები რევოლუციის გმირებიც არიან. გმირებს ხალხი ძეგლს უდგამს, ამ ძეგლებთან ახალი თაობა ფიცს დებს!

თ. გადურაშვილი,

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხალხთა მეგობრობის მუზეუმის დირექტორი.

ცეცხლთან ოცვაში?!

[illegible] ცეცხლგაუფლებლობით, ბავშვთა ცელქობით გამოწვეულმა ხანძარმა დიდი მსხვერპლი და მატერიალური ზარალი გამოიწვია.

მესტიის რაიონის სოფელ ზედა ვედის მკვიდრმა თ. ქაცელუამ და მისმა მეუღლემ შვილები — ოთხი წლის პეტრა და ორი წლის ზვიადი თხუთმეტი წლის გოგონას დაუტოვეს და ნათესავის დაკრძალვაზე წავიდნენ. გოგონამ ბავშვები ოთახში ჩაკეტა და უმეთვალყურეოდ მიატოვა. თვითონ საძოვრიდან პირუტყვის მოსარეკად წავიდა. პატარებმა ცეცხლთან ანცობა დაიწყეს და სახლს ცეცხლი გაუჩნდა. როცა მეზობლები ხანძრის ჩასაქრობად მივიდნენ, გვიანღა იყო. ბავშვები ცეცხლმა იმსხვერპლა. ასევე დაემართათ ჩოხატაურის რაიონის სოფელ ზოტაში მცხოვრებ ზოიძეებს, რომლებმაც 30 დეკემბერს დილით მცირეწლოვანი ორი ბავშვი მარტოდმარტო დატოვეს ცეცხლთან...

შარშან გორის რაიონის სოფელ კირბალში სალიარკით მომუშავე თუნუქის ღუმელს ბავშვის ცელქობით ცეცხლი გაუჩნდა და დაიწვა რვა წლის იაშა ხარაძე.

გაუფრთხილებლობით გაჩენილმა ცეცხლმა დიდი უბედურება დაატრიალა ვანში მცხოვრები ფაცია და მარინე გაბუნიების ოჯახში. მათ სახლში სალიარკის ღუმელი ედგათ და სახანძრო უშიშროების ელემენტარულ წესებსაც კი არ იცავდნენ. უყურადღებოდ მიტოვებულ თუნუქის ღუმელს ღამის პირველ საათზე ცეცხლი გაუჩნდა. დაუდევრობის მსხვერპლნი გახდნენ ოთხი წლის ნინო და ორი წლის ტყუპები ნატო და ნათია. ბებიამ და დედამ კი დამწვრობა მიიღეს.

რუსთავში გაისარალიევის ოჯახში სამი წლის ნანული მშობლებმა სახლში მარტოდ მარტო გამოკეტეს. თუნუქის ღუმელთან ვედროში სალიარკას ცეცხლი გაუჩნდა და ბავშვი სახლში გამოიწვა. ოჩამჩირის რაიონის სოფელ ოხურეიში სალიარკის ღუმელს ცეცხლი გაუჩნდა და დაიწვნენ სამი წლის ნადია და ორი წლის ივანე სოკოლები. ხოლო ფოთში მალთაყვის შესახვევში ივანე კუზნეცოვის ფინურ სახლს ღამის პირველ საათზე ცეცხლი გაუჩნდა. ხანძრის მიზეზი ხანძარსაწინააღმდეგო წესების დარღვევით დადგმული თუნუქის ღუმელი იყო. ხანძარი მძინარე კუზნეცოვებისათვის იმდენად მოულოდნელი იყო, რომ ოთხი წლის ალექსანდრეს გამოყვანა ვერ მოასწრეს.

უყურადღებოდ მიტოვებულმა ბავშვებმა ხანძარი გააჩინეს და დაიწვნენ ყვარლის რაიონის სოფელ ახალოფელში, მახარაძის რაიონის სოფელ გურიანთაში, თბილისში გორგასალის ქუჩა № 7-ში და სხვა ბევრგან.

ამბავი, ამბავ! — შესძახებს შეძრწუნებული მკითხველი. — ნუთუ ბრმა შემთხვევამ ამდენი ბავშვის ნორჩი სიცოცხლე შეიწირა?

დიახ, სამწუხაროდ ასეა! ისიც მართალია, რომ ერთი შეხედვით, ბრმა შემთხვევასთან გვაქვს თითქოს საქმე. მაგრამ დავუკვირდეთ: განა ყველ ზემოთ მოყვანილ ფაქტში უფროსების დაუდევრობა, წინდაუხედაობა არ ჩანს?

ძირითადად ხანძრის გამომწვევი მიზეზია სალიარკის თუნუქის ღუმელებთან უმეთვალყურეოდ მიტოვებული მცირეწლოვანი ბავშვების ცელქობა. საქართველოს რაიონების ერთი ნაწილი გაზიფიცირებული არ არის. ამიტომ მოსახლეობა ბინების გასათბობად სალიარკის თუნუქის ღუმელებს ხმარობს. მაგრამ ჩვენს რესპუბლიკაში არ არსებობს წარმოება, ქარხანა, რომლებიც თუნუქის ღუმელებს ამზადებდნენ. მათ კუსტარულად აკეთებენ და მამაისსლად ჰყიდიან, დროა ადგილობრივი მრეწველობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროების სათანადო დაწესებულებებმა შეიმუშაონ თუნუქის ღუმელების ერთიანი კონსტრუქცია, გაკეთონ და მიპყრონ მოსახლეობას. თუ გონივრულად გამოვიყენებთ, საოთამშოდ და საცეცქოდ. არ მივუშვებთ ბავშვებს, მაშინ თუნუქის ღუმელები ამდენ უბედურებას ვერ მოუტანს ჩვენს მოსახლეობას.

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ სალიარკა სავაჭრო ობიექტებში და ნავთობპროდუქტების წერტილებში არ იყიდება. საკითხავია, საიდან შოულობენ მას? ამასაც დაკვირვება და საქმისნების ჯამოშაკარავება ჭირდება.

ცეცხლთან თამაში ყოველთვის საშიში იყო და ყოველი ჩვენგანი მოვალეა ფრთხილად იყოს, განსაკუთრებით ბავშვები უნდა გავაცალოთ მას და მაშინ ავცდებით გამოუსწორებელ შედეგებს, რომლებიც უფროსებს მთელი სიცოცხლის განმავლობაში გულზე ლოდად გაჰყვება.

ბ. ბახტურიძე.

ლ. ი. ბრეჟნევის ნაწარმოებები ნორვეგიულ ენაზე

ოსლო. (საკდესი). ნორვეგიის გამომცემლობა „ნიუ დაგმა“ გამოუშვა კრებული, რომელშიც შევიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის **ლ. ი. ბრეჟნევის** მოგონებანი **„მცირე მიწა“** და **„აღორძინება“**.

კრებულს დიდი ინტერესით შეხვდა ნორვეგიის საზოგადოება. როცა ლ. ი. ბრეჟნევის მოგონებებს წაიკითხავენ, განაცხადა გამომცემლობა „ნიუ დაგის“ დირექტორმა ფ. პეტერსონმა, ნორვეგიელები უფრო ახლოს გაეცნობიან საბჭოთა სახელმწიფოს ისტორიას, იმ მძიმე გამოცდას, რომელიც საბჭოთა ხალხს წილად ხვდა დიდი სამამულო ომის წლებში და ომის შემდეგ სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში. ეს ნაწარმოებები დამაჯერებლად ცხადყოფენ, რომ საბჭოთა კავშირისა და პირადად ლ. ი. ბრეჟნევის ბრძოლა იმ ხალხის გულწრფელი მისწრაფებების გამოვლინებაა, რომელმაც გაიარა ომის მძიმე გამოცდა და გაიგო მშვიდობის ნამდვილი ფასი.

ძმური დახმარება

ჰაიფონი, 21 მარტი. (საკდესი). აქ ჩამოდგა თბომავალი „ოლა ანდროფსკაია“, რომელიც ვიეტნამის სოციალისტურ რესპუბლიკაში ჩამოიყვანა საბჭოთა მოხალისე დოკერთა რაზმი. რაზმის შემადგენლობაშია 150-ზე მეტი კვალიფიციური მენავსადგურე, ინჟინერი, სპეციალისტი. ისინი ვიეტნამში ჩამოვიდნენ, რათა ვიეტნამელ კოლეგებს დაეხმარონ ჰაიფონის ნავსადგურის ზუსტი, აწყობილი მუშაობის მოგვარებაში.

ვიეტნამის სოციალისტურ რესპუბლიკაში გამოგზავნილი საზღვაო ტვირთის თითქმის ორი მესამედი ჰაიფონის ნავმისადგომებში დადის. აქედან იწყება მტაცე მეგობრობის საზღვაო ხიდი, რომელიც სოციალისტურ ვიეტნამს ბევრ ქვეყანასთან აკავშირებს. საბჭოთა გემებს, რეგულარულად ჩამოჰქონდათ ტვირთი შეგრძოლი ვიეტნამელი ხალხისადმი ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიის წლებში, მშვიდობიანი აღმშენებლობითი მშენებლობის პერიოდში და ახლა, როცა გმირი ვიეტნამი ჩინეთის მმართველი წრეების მიერ გაჩაღებულ დანაშაულებრივ აგრესიას იგერიებდა.

გულითადად შეხვდნენ ჰაიფონის მცხოვრებნი საბჭოთა დოკერებს. ნავსადგურში მასობრივი მიტინგი გაიმართა, მიტინგზე გამოსვლისას ვიეტნამის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატმა, ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის ტრანსპორტისა და გზათა მინისტრის მოადგილემ ხგუენ თიონგ ლანმა ხაზგასმით აღნიშნა ჩინელ აგრესორებზე ვიეტნამის გამარჯვების უდიდესი მნიშვნელობა. საბჭოთა დოკერების გამოცდილება და ცოდნა საგრძნობი წვლილია ჰაიფონის ნავსადგურის მუშაობის ეფექტიანობის ამაღლების, იმ დიდმნიშვნელოვანი სახალხო-სამეურნეო ტვირთის მოღება-გაგზავნის უზრუნველყოფის საქმეში, რომელიც საჭიროა მარბაროსული აგრესიის შედეგად ჩინეთის მომიჯნავე რაიონების ეკონომიკისათვის მიყენებული ზარალის აღმოსაფხვრელად.

ნგუენ თიონგ ლანმა გულითადი მადლობა მოახსენა საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა კავშირის მთავრობასა და მომმე საბჭოთა ხალხს ვიეტნამის დახმარებისა და მხარდაჭერისათვის.

გულწრფელი აღიარება

კარიზი. (საკდესი). ფრანს პრესის სააგენტოს პეკინელი კორესპონდენტი იუწყება:

უცხოელ კორესპონდენტთა ჯგუფისადმი ინტერვიუში სიანუკმა განაცხადა, რომ იგი „აღარ წარმომადგენლობს პოლ პოტ-იენგ სარის რეჟიმს“, და მათ „კაცისმკვლელები და მახრჩობელები“ უწოდა.

აი, ასეთი გულახდილი დახასიათება მისცა სიანუკმა იმ რეჟიმს, რომელსაც ჩინელთა წასიანებით ჯერ კიდევ სულ ცოტა ხნის წინ იცავდა ნიუ-იორკში უშიშროების საბჭოს სხდომებზე, სადაც კამპუჩიის „მთავრობის“ წარმომადგენლად გამოდიოდა. სიანუკის ნათქვამი კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ კამპუჩიელმა ხალხმა დაამხო კაცისმკვლელების ბანდა, რომელზეც დიდ იმედებს ამყარებდა პეკინის ზედაფენა და რომელიც ქვეყანაში კამპუჩიელი ხალხის მიმართ გენოციდის პოლიტიკას ახორციელებდა.

ᲛᲝᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲔᲑᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ

ᲙᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 21 მარტი. (საკდესი). კამპუჩიის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქში ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად ჩამოვიდა ლაოსის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაცია ლაოსის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტის სუფანუვონგის მეთაურობით, იტყობინება კამპუჩიის საინფორმაციო სააგენტო.

აქ დაიწყო კამპუჩია-ლაოსის მოლაპარაკება. მოლაპარაკებაზე კამპუჩიის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციას მეთაურობს კამპუჩიის სახალხო-რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარე ხენგ სამრინი, ლაოსის დელეგაციას, ლაოსის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტი სუფანუვონგი.

ᲛᲘᲢᲘᲜᲒᲘᲡ ᲞᲝᲠᲢᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲐᲚᲔᲑᲘᲜᲔᲡ

რომი. (საკდესი). აქ ფიცი დაადებინეს იტალიის ახალ მთავრობას, რომელიც შექმნა ქრისტიანმა დემოკრატმა ჯ. ანდრეოტიმ. მის შემადგენლობაში შევიდნენ სამი პარტიის წარმომადგენლები: ქრისტიანი დემოკრატები. სოციალ-დემოკრატები და რესპუბლიკელები. ისევე როგორც წინა კაბინეტში, რომელიც შვიდი კვირის წინ გადადგა, ძირითადი პოსტები უკავიათ ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლებს.

ᲨᲔᲘᲐᲠᲐᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲔᲢᲐᲙᲔᲑᲐᲜᲘ ᲡᲔᲜᲔᲜᲓᲔᲯᲨᲘ

პარიზი, 21 მარტი. (საკდესი). როგორც საინფორმაციო სააგენტოები იუწყებიან ირანის ქურთისტანში მოხდა შეიარაღებული შეტაკებანი ადგილობრივ მოსახლეობასა და მთავრობის ჯარებს შორის. განსაკუთრებით სერიოზული შეტაკებანი მოხდა ქალაქ სენენდეჯსა და მის მიმდებარე რაიონებში. აჯანყებულებმა ხელთ იგდეს რადიოსადგური და ქურთებს მოუწოდეს იბრძოლონ ავტონომიისათვის, იმისათვის, რომ პატივი სცენ მათ ეროვნულ ტრადიციებსა და ჩვეულებს უფრო მეტი ყურადღება დაუთმონ მათ სოციალურ და ეკონომიკურ საჭიროებებს ცენტრალურმა ხელისუფლებამ. შეტაკებათა შედეგად არის მნიშვნელოვანი მსხვერპლი.

ფრანს პრესი, რომელიც იმოწმებს სარწმუნო წყაროებს, იუწყება, რომ წუხელ ქურთთა უმაღლესი რელიგიური მოღვაწეების შუამავლობით მოხერხდა მიეღწიათ შეთანხმებისათვის ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე. იმავე მონაცემებით, ქალაქის რადიოსადგურს კვლავ კონტროლს აჯანყებულნი უწევენ.

მოგვიანებით მოვიდა ცნობები, რომ განახლდა სენენდეჯში შეიარაღებული შეტაკებანი ქურთებსა და მთავრობის ჯარებს შორის.

ნიუ-იორკი. (საკდესი). როგორც ასოშეიეტედ პრესის სააგენტო თეირანიდან იუწყება, ირანის პრემიერ-მინისტრის მოადგილემ ამირ-ენთეზამმა განაცხადა, რომ მთავრობამ ამ ქალაქს გაუგზავნა მაშველი ძალები, რომლებიც „გადაჭრით იბრძოლებენ აჯანყებულთა წინააღმდეგ“. იუნაიტედ პრეს ინტერნეშნლის მონაცემებით, ქალაქში წარმოებს საარტილერიო სროლა.

რევოლუციის მონაპოვრების დასაცავად

ᲙᲐᲑᲣᲚᲘ, (საკდესი). ავღანეთის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ეწყობა მასობრივი საპროტესტო მიტინგები და დემონსტრაციები ქვეყნის საშინაო საქმეებში უცხოთის ჩარევის წინააღმდეგ, ავღანეთის რევოლუციური მთავრობის მხარდასაჭერად ათიათასობით მუშამ, გლეხმა, მასწავლებელმა წვლილი შეაქვს ჩვენი საზოგადოების უბოროტეს მტერთან — უწიგნურობასთან ბრძოლაში. მთელი ეს ღონისძიებანი საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენელთა პატრიოტულ და შეგნებულ მუშაობასთან ერთად გვიხერგავს ჩვენი ნათელი მომავლის იმედს, ხაზგასმით აღნიშნა დასასრულ ჰ. ამინმა.

ᲙᲐᲠᲘᲙᲐᲢᲣᲠᲘᲡᲢᲘᲡ ᲗᲕᲐᲚᲘᲗ

ᲐᲮᲚᲝ ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲨᲘ Ჯ. ᲙᲐᲠᲢᲔᲠᲘᲡ ᲐᲛᲐᲮᲜᲘᲜᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲝᲑᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲛᲘᲖᲐᲜᲘ ᲘᲧᲝ ᲡᲘᲜᲘᲡ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲙᲣᲜᲓᲣᲚᲖᲔ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲑᲐᲖᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲐ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲗᲕᲘᲗᲝᲛᲤᲠᲘᲜᲐᲕᲔᲑᲘᲗᲐᲗᲕᲘᲡ.

ბ. ლომიძის ნახატი.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲠᲝᲢᲚ ᲓᲐ ᲓᲘᲜᲐᲛᲘᲙᲣᲠ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲝᲑᲐᲨᲘ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲓᲐᲫᲐᲑᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲜᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲚᲝᲑᲐᲚᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘᲡ ᲞᲐᲠᲐᲚᲔᲚᲣᲠᲐᲓ ᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲫᲚᲘᲔᲠᲘᲐ ᲛᲘᲗᲘᲡ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲐᲛᲓᲔᲑᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲒᲚᲔᲜᲐ, ᲡᲣᲚ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲔᲢᲘ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐ ᲔᲜᲘᲭᲑᲐ ᲛᲝᲜᲐᲞᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲨᲘ ᲛᲝᲜᲐᲞᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲪᲐᲕᲐᲓ.

ᲛᲝᲜᲐᲞᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲔᲢᲐᲞᲘ ᲘᲧᲝ ᲛᲝᲜᲐᲞᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲪᲐᲕᲐᲓ ᲛᲘᲜᲓᲝᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲞᲚᲝᲛᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲘᲡ ᲯᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲐ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲗᲕᲘᲗᲝᲛᲤᲠᲘᲜᲐᲕᲔᲑᲘᲗᲐᲗᲕᲘᲡ.

(ᲑᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲜᲐᲮᲐᲢᲘᲓᲐᲜ).

ᲛᲝᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲔᲑᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ

ᲙᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 21 მარტი. (საკდესი). კამპუჩიის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქში ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად ჩამოვიდა ლაოსის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაცია ლაოსის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტის სუფანუვონგის მეთაურობით, იტყობინება კამპუჩიის საინფორმაციო სააგენტო.

აქ დაიწყო კამპუჩია-ლაოსის მოლაპარაკება. მოლაპარაკებაზე კამპუჩიის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციას მეთაურობს კამპუჩიის სახალხო-რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარე ხენგ სამრინი, ლაოსის დელეგაციას, ლაოსის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტი სუფანუვონგი.

ᲔᲡ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ ᲩᲕᲔᲜ ᲞᲚᲐᲜᲔᲢᲐᲖᲔ

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘ

რომ ვიმეგობროთ სიმღერით



დღეს თბილისში გასტროლებს იწყებს ერევნის ა. სპენდიაროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი

დღეიდან, 23 მარტიდან 5 აპრილამდე თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის შენობაში გასტროლებს მართავს ერევნის ა. სპენდიაროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო აკადემიური თეატრი.

ამ ღირსშესანიშნავი მოვლენის გამო „კომუნისტის“ კორესპონდენტი **ვ. მარდალეიშვილი** ესაუბრება თეატრის დირექტორს, სომხეთის ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს **სილვა მეკინიანს.**

— ქალბატონო სილვა, მგონი აჯობებს ჯერ ორი მოძმე რესპუბლიკის საოპერო თეატრის ძველი, ტრადიციული მეგობრობა და ურთიერთკავშირი გავიხსენოთ, რომელიც დღესაც ღრმავდება და ვითარდება.

— რა თქმა უნდა, სწორედ ტრადიციულმა მეგობრობამ წარმოქმნა ეს გულია ატმოსფერო, როდესაც მეგობრობაზე ვლაპარაკობთ, შეუძლებელია დავიწყება იმ ადამიანებისა, რომლებიც თავიდანვე სამაგალითოდ იღვწოდნენ ჩვენი თეატრების დაახლოებისათვის. იდგმებოდა სპექტაკლები, ვმართავდით გასტროლებს, ვეცნობოდით ცალეული შემსრულებლებს. მაგალითად, ერევანში დიდი წარმატებები ჰქონდათ ოპერებს „დაისს“, „ქეთო და კოტეს“, „მინდიას“, სახელმოხვეჭილ მომღერლებს პეტრე ამირანაშვილს, ზურაბ ანჯაფარიძეს და სხვებს, ხოლო ჩვენი სოლისტების ჩამოსვლა თბილისში სასიხარულოდ იყო თითოეული მუსიკის მოყვარულისათვის. გავიხსენოთ თუნდაც გოჰარ გასპარიანი და ნარ ოვანესიანი. ახლახან ჩვენს თეატრში რეჟისორმა გიორგი ალექსიძემ და მხატვარმა ნიკოლოზ იგნატოვმა მშვენივრად დადგეს ერთაქტიანი ბალეტი ბახის მუსიკის მიხედვით „ჩაკონა“. აქ შეუძლებელიც არის ჩამოვთვალო ყველაფერი, რაც საბოლოო ანგარიშით, ხელს უწყობდა და უწყობს ორი ერის მუსიკალური ხელოვნების კარგ ურთიერთობას. ამასვე მოველით ახლანდელი შეხვედრისაგან. თბილისში ბოლო გასტროლები ჩვენს თეატრს 1963 წელს ჰქონდა.

— რა გაქვთ საგასტროლო რეპერტუარში?

— სომეხი და უცხოელი კომპოზიტორების საუკეთესო საოპერო და საბალეტო ქმნილებანი. ესენია: სომხური მუსიკის მარგალიტი ა. ტიგრანიანის ოპერა „ანუშა“, ს. ჯერბაშიანის „გიჟორი“, როსინის „სევილიელი დალაქი“, ლეონკავალოს „ჯამბაზები“, ბელინის „ნორმა“. ხოლო ბალეტის მოყვარულთათვის ა. ხაჩატურიანის „გაიანე“, მინკუსის „დონ კიხოტი“ და აგრეთვე ერთაქტიანი ბალეტების სალამო.

ამ სპექტაკლებში თბილისელები შეხვდებიან ჩვენი თეატრის როგორც ძველი, ისე ახალი თაობის მომღერლებსა და მოცეკვავეებს.

— ახალგაზრდებიდან, რომლებიც შეიძლება წინა გასტროლებზე არც ყოფილან თბილისში, ვის დაასახელებთ?

— ისინი მრავლად არიან. ბოლო წლებში ბევრმა ახალგაზრდა მომღერალმა თუ ბალეტის მოცეკვავემ გამოავლინა უზადო ნიჭი ჩვენი თეატრის სცენაზე.

— 1968 წლიდან, 16 წლის მანძილზე, მას შემდეგ, რაც ასე „ერთიანად“ არ სტუმრებიხართ თბილისს, რა თქმა უნდა, ბევრი მნიშვნელოვანი ფაქტი მოხდა თქვენს თეატრში, გაიხსენეთ ზოგიერთი.

— მართლაც, ნაყოფიერი იყო ეს წლები. გარდა იმისა, რომ დიდგა რამდენიმე საყურადღებო სპექტაკლი, თეატრს საგასტროლო მოგზაურობებიც ჰქონდა, რომელთაგან უნდა გამოვყოთ გასტროლები მოსკოვში 1976 წლის სექტემბერში, სადაც დიდი შეფასება მიეცა ჩვენს ხელოვნებას. შარშან უკრაინის დედაქალაქში გვქონდა გასტროლები.

შარშან საბალეტო ჯგუფი არგენტინასა და მექსიკაში უჩვენებდა თავის ოსტატობას. მექსიკაში ისინი სერვანტესის სახელობის თეატრალურ ფესტივალში მონაწილეობდნენ.

— ხომ არ აპირებთ რომელიმე ქართული ნაწარმოების დადგმას?

— ჩვენ ბოლოს ოთარ თაქთაქიშვილის „მინდია“ დავდგით. ამჟამად ჩვენი საოპერო თეატრის შენობის რეკონსტრუქცია მიმდინარეობს და სანამ ისევ შევსახლდებით, დრო გაიელის. შემდეგ კი უეჭველად ავაყენებთ ქართულ ნაწარმოებს მის ჭერქვეშ, რომ კვლავაც ვიმეგობროთ მუსიკითა და სიმღერით.

სურათზე: გოჰარ გასპარიანი ნორმას როლში ბელინის ოპერაში „ნორმა“.

ლაპარაკობენ სტუმრები

გოჰარ გასპარიანი,

სსრ კავშირის სახალხო არტისტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი

მე სტუმარი არც უნდა დამერქვა — ყოველ წელს ჩემს საყვარელ თბილისში ვარ. თითქმის ყველა საუკეთესო დადგმებში მიმღია მოხაწილეობა. გამმართავს კონცერტები. ეს გასტროლებიც ჩემთვის ჩვეულებრივი ამბავია, თუმცა მთელი თეატრი კი ღელავს.

ჩემს ძველ მეგობრებს ალბათ ესიამოვნებათ იმის გაგება, რომ ნორმას პარტიას ბელინის ოპერა „ნორმაში“ თქვენი შესანიშნავი თეატრის სცენაზე პირველად ვიმღერებ. და ბედნიერი ვიქნები, თუ არ გაგაწბილებთ.

ნარ ოვანესიანი,

სსრ კავშირის სახალხო არტისტი

თბილისი ჩემი სამშობლოა. აქ დავიბადე და გავიზარდე, აქვე დავამთავრე კონსერვატორია და მთელი ოცი წლის მანძილზე წამყვან პარტიებს ვმღერიდი „აბესალომ და ეთერში“, „ქეთო და კოტეში“, „დაისში“ და კიდევ ბევრ სხვა დადგმაში. მე გულწრფელად მიხარია, რომ ის თეატრი, სადაც ჩემი საუკეთესო წლები გავატარე, მკვდრეთით აღდგა, უკეთესი აშენდა, მინდა, რომ ერთიორად მოგვწონოთ ჩემი დონ ბაზილიო ახალ, დიდებულ სცენაზე.

ახალმოსახლეობა

ქუთაისის № 112 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის მოსწავლეებმა ახალმოსახლეობა იზიმეს სასწავლო კორპუსში. სასწავლებლის კომპლექსს მალე სხვა შენობები და ნაგებობებიც შეემატება.

სურათებზე: ქვემოთ — სასწავლებლის ახალი კორპუსი; ზემოთ — მასწავლებელი ზაურ თხილავა მეცადინეობას უტარებს მომავალ ამწყობ ზეინკლებს.

ო. ბერეჩიკიძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

პრემიები — საუკეთესო ნაწარმოებებს

1978 წელს გამოქვეყნებული წლის საუკეთესო ლექსისათვის „ჭაბუკური ნაბიჯით“ საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმმა **ბალაკიონ ტაბიძის** სახელობის პრემია მიანიჭა პოეტ **ჯანსუღ ჩარკვიანს.** ლექსი გამოქვეყნდა 1978 წლის 28 ნოემბერს გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში“.

1978 წელს დაწერილი და თანამდროვე თემატიკისადმი მიძღვნილი საუკეთესო ნაწარმოებებისათვის საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმმა ყოველწლიური ლიტერატურული პრემიები მიანიჭა პოეზიის, პროზის, დრამატურგიის და კრიტიკის დარგში.

პოეზიაში — **ირაკლი აბაშიძეს** ლექსებისათვის, რომლებიც გამოქვეყნდა ჟურნალ „მნათობში“ და გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში“; **მორის ფოცხიშვილს** ჟურნალ „მნათობში“, „ცისკარსა“ და გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნებული ლექსებისათვის.

პროზაში — **ჯემალ თოფურიძეს** ჟურნალ „ცისკარში“ გამოქვეყნებული მოთხრობებისათვის (სიკვდილის შემდგომ).

დრამატურგიაში — **მერაბ ელიოზიშვილს** პიესისა თ ვ ი ს „ყველგან ყველასათვის“.

კრიტიკაში — **სარგის ცაიშვილს** 1978 წელს გამოქვეყნებული კრიტიკული წერილებისათვის.

დროის მოთხოვნა

უკვარიო მოძრაოგისათვის

მკითხველმა იცის, რომ ჩვენი გაზეთი დროდადრო დიდ ყურადღებას უთმობს საგზაო-სატრანსპორტო უსაფრთხოების საკითხებს. ქვემოთ ვაქვეყნებთ საგზაო-მოძრაობის უსაფრთხოების რესპუბლიკური კომისიის ამასწინანდელი სხდომის ანგარიშს, რომელიც მომზადებულია საქინფორმის მიერ.

15 მილიონ მანეთს სპარბობს ზარალი, რომელიც შარშან მიიღო სახელმწიფომ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების შედეგად. მაგრამ რა მოსატანია ეს დანაკარგები ადამიანის მსხვერპლთან, რომელიც ზმირად მოსდევს ხოლმე გზებზე მომხდარ ავარიებს.

1977 წელს ყოველ ათას ავტომატარანსპორტო ერთეულზე აღირიცხა საგზაო შემთხვევების 9,3 პროცენტი, ხოლო გასულ წელს — 8,9 პროცენტი. მაგრამ შემთხვევების საერთო რიცხვი, 1977 წელთან შედარებით გაიზარდა.

შექმნილი მდგომარეობა, თქვეს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების რესპუბლიკური კომისიის სხდომაზე, რომელიც რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ვ. ვადაჭკორიას ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა, მოწმობს, რომ რესპუბლიკის მთელი რიგი სამინისტროები და უწყებები, აგრეთვე სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომები სრულად ვერ უზრუნველყოფენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს იმ გადაწყვეტილებათა შესრულებას, რომლებიც საქვეუწყებო ტრანსპორტზე ავარიულობის თავიდან აცილებას ეხება.

ამასთანავე რესპუბლიკაში ჯერის დიდი ორგანიზაციები, რომლებსაც საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების თავიდან აცილების საგულისხმო გამოცდილება აქვთ, შეძენილი. მაგალითად, მათ რიცხვს განეკუთვნება საქართველოს საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო.

რესპუბლიკის მთავარი საავტომობილო გზების 12 უბანს ყოველდღიურად პატროლობენ სპეციალურად აღჭურვილი ავტომობილები. ყოველი საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის გამო ეწყობა სამსახურებრივი გამოძიება. დაუსებულია კონტროლი სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ გარაჟებში ავტომობილის დროული დაბრუნებისადმი.

ამის შედეგად საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების რაოდენობა 1978 წელს 1970 წელთან შედარებით (სამინისტროში სწორედ ამ წელს შეიქმნა მოძრაობის უსაფრთხოების სამსახური) 44 პროცენტით შემცირდა, დაღუპულთა რიცხვმა 2,5-ჯერ იკლო, ხოლო დაშავებულთა რაოდენობამ — 49 პროცენტით.

სხდომაზე განიხილეს საკითხი საქართველოს სსრ ტერიტორიაზე „ოლიმპიადა-80“-სათვის საავტომობილო მარშრუტების მომზადების შესახებ.

კომისიის სხდომაზე დასახეს კონკრეტული ღონისძიებანი, რომლებიც ხელს შეუწყობენ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების შემცირებას.

ძნელიც, საპატიოც

უკეთესი მერმისის იმედით

სპარტაკიადაზე სპორტულ დელეგაციებს ქულებს ის მძლეოსნები მოუტანენ, რომლებიც 16 საუკეთესოში დაიკავებენ ადგილს, თითოეულ სახეობაში გამარჯვებისათვის ბრძოლის უფლება კი 17 კოლექტივის 3-3 ათლეტს ექნება. მაშასადამე, ამოცანა მეტისმეტად ძნელია და, ამდენად საპატიოც.

ჩვენ უკრაინის, მოსკოვის, ლენინგრადის, რსფსრ-ის, ბელორუსიის კოლექტივებთან თანაბარი ბრძოლის უნარი სადღეისოდ არ გაგვაჩნია. ამას არც ვმალავთ. ჩვენი ათლეტების უპირველესი ამოცანაა, რაც შეიძლება ცოტა წაგონ სპარტაკიადაში საერთო V-VI ადგილებისათვის ბრძოლაში საქართველოს სპორტული დელეგაციის მთავარ მეტოქეებთან — ყაზახეთისა და უზბეკეთის გუნდებთან.

სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადაში მძლეოსნებს დიდი წარმატების მოპოვება გაუჭირდებათ, მაგრამ ვიმედოვნებთ, უკეთ იასპარეზებენ, ვიდრე ოთხი წლის უკან, ხოლო მერმისი უფრო პერსპექტიული, უფრო საიმედო გვესახება. ამის თქმის უფლებას გვაძლევს რესპუბლიკაში მძლეოსნური ბაზების ქსელის გაზრდა, დანარჩენი კი ჩვენს მწვრთნელებზეა.

ა. ბედუკაძე.

საქართველოს სპორტკომიტეტის მძლეოსნობის განყოფილების უფროსი, სპორტის ოსტატი.

23 მარტი მეტეოროლოგიის საერთაშორისო დღეა

ამინდის გუშაგები

ადამიანის სიცოცხლე და საქმიანობა ნიადაგ განიცდის სტიქიის ძალების ზემოქმედებას.

ჩავწვდეთ ამ ძალების ბუნებას, ვისწავლოთ მათი ზემოქმედების მასშტაბის განჭვრეტა, შემდეგ კი შეეძლოთ მათი მართვა — აი, რა არის ადამიანის ოდინდელი სურვილი, მეტეოროლოგიის ძირითადი საბრძოლო ამოცანა.

მაგრამ მეტეოროლოგიის წინაშე მდგარ პრობლემებს ცალკეული მეცნიერები ან თუნდაც მათი ჯგუფი ვერ გადაწყვეტს. საჭიროა მრავალი ქვეყნის მეცნიერთა გაერთიანებული მეცადინეობა. შეიძლება დავასახელოთ ასეთი მაგალითი: იშისათვის, რომ ერთი დღეღამის ამინდის პროგნოზი შევადგინოთ საქართველოს ტერიტორიისათვის, უნდა მივიღოთ და გავაანალიზოთ ახლო აღმოსავლეთის, ჩრდილოეთი აფრიკისა და ევროპის დიდი ნაწილის რამდენიმე დღის მეტეოროლოგიური დაკვირვების მონაცემები. ამრიგად, თვით ცხოვრებამ წამოაყენა მეტეოროლოგიის დარგში ყველა ქვეყნის მეცადინეობის გაერთიანების იდეა.

ამ იდეის ხორცშესხმის ცდა იყო საერთაშორისო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის ჩამოყალიბება, რომელიც 100 წლის წინათ შეიქმნა. 1951 წელს იგი გარდაიქმნა მსოფლიო მეტეოროლოგიურ ორგანიზაციად, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საგანგებოს წარმოადგენს და აკისრია შესაბამისი უფლება-მოვალეობანი.

ამჟამად მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაცია არის ავტორიტეტული საერთაშორისო გაერთიანება, რომელიც უძღვება ყველა ქვეყნის ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურების მეცადინეობას. მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაცია წყვეტს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა გლობალური პროცესების კვლევა, მეტეოროლოგიური მეცნიერების მიღწევების შესწავლა მათი პრაქტიკული გამოყენების მიზნით, განვითარებადი ქვეყნებისადმი დახმარება, მათთვის კადრების მომზადება და სხვა. შემმნილია ამინდის მსოფლიო სამსახური, რომელიც ეყრდნობა მეტეოროლოგიური, აეროლოგიური და სხვა სადგურების ეროვნულ ქსელებს.

მსოფლიო მეტეოროლოგიურ ორგანიზაციაში აქტიურ მონაწილეობას იღებს საბჭოთა კავშირი, რომელიც ევრობისა და აზიის ორი რეგიონული ასოციაციის წევრია.

მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის წევრები არიან აგრეთვე უკრაინისა და ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკები.

ყველაზე აქტიურ მონაწილეობას იღებს საბჭოთა კავშირი გლობალური ატმოსფერული პროცესების კვლევის პროგრამაში. მთელი რიგი ექსპერიმენტები, რომლებიც აღნიშნული პროგრამით იყო გათვალისწინებული ატმოსფეროს ფიზიკის ცალკეული პრობლემების გადასაჭრელად, უკვე განხორციელდა. ეს არის ინდოეთ-საბჭოთა კავშირის ექსპერიმენტები „მუსონი-73“, უდიდესი საერთაშორისო ატლანტიკური ტროპიკული ექსპერიმენტი (1974 წელი), კომპლექსური ენერგეტიკული ექსპერიმენტი (1976 წელი), აგრეთვე „მუსონ-77“. მთელი რიგი წლების მანძილზე წარმოებს მუშაობა არქტიკასა და ანტარქტიდაში პოლარული ექსპერიმენტის პროგრამით. გლობალური ატმოსფერული პროცესების კვლევის პროგრამა 1979 წელს დამთავრდება პირველი [illegible] ... 1961 წლიდან დაწყებული, 23 მარტს აღინიშნება მსოფლიო მეტეოროლოგიური დღე. ეს დღესასწაულია „ამინდის გუშაგების“ მრავალათასიანი არმიისა, რომლებიც თავდადებით შრომობენ დედამიწის სხვადასხვა კუთხეში — ჩრდილოეთი პოლუსიდან ანტარქტიდაში.

ამ დღეს პოპულარიზაციას უწევენ საერთაშორისო თანამშრომლობის იდეას და აფასებენ შედეგებს, რომლებიც ამ დარგში თაობათა გარეს წყალობით არის მიღწეული.

მსოფლიო მეტეოროლოგიურ დღეს ქართველი მეტეოროლოგები აღნიშნავენ თავიანთი საქმიანობის გაქტიურებით, რომლის მიზანია რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ჰიდრომეტეოროლოგიური უზრუნველყოფის ხარისხისა და ეფექტიანობის შემდგომი ამაღლება.

თ. თურმანიძე,

საქართველოს სსრ ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის სამმართველოს უფროსი. (საქინფორმი).

სპარტაკიადიდან ოლიმპიადამდე

მძლეოსნობა

დავიბრუნოთ დაკარგული პოზიცია

მძლეოსნობა სპორტის ის სახეობაა, რომელიც ყველა სხვა სახეობას ასაზრდოებს. მისი ელემენტები მეტნაკლებად ყველგან გამოიყენება.

მძლეოსნობას სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაში საბოლოო გუნდური ადგილების განაწილებაში ერთ-ერთი მთავარი ადგილი მიეკუთვნება (იგი ყველაზე მეტ ქულებს იძლევა), ამასთან „სპორტის დედოფალი“ მოსაბრძოლის სიტანსაციის პირველწყაროცაა. ამიტომაც მისი განვითარებისათვის ჩვენს ქვეყანაში სულ უფრო და უფრო მეტი ღონისძიება ტარდება.

საქართველოშიც უყვართ მძლეოსნობა, პატივსაცემენ და დიდებული ოსტატებიც გვყავდა, რომლებმაც რესპუბლიკას შორს გაუთქვეს სახელი, ნ. ლომბაძისა და ე. გოგიელის, ნ. დვალიშვილისა და ლ. სანაძისა, რ. ზალაყაძისა და ვ. სანეკერეს [illegible] ბებს, დ. ოსელიანისა [illegible] ვ. ზხვაცაბაიას წარმატებებ[illegible] ბოლო მოუხიბლავთ გულშემატკივრები. სსრ კავშირის ხალხთა პირველ ოთხ სპარტაკიადაში საქართველოს სპორტული დელეგაცია რომ მუდამ V ადგილს იკავებდა, ამაში მძლეოსნებს მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდათ, მაგრამ მერე?

საერთო ჩათვლაში ბოლო ორ სპარტაკიადაზე ორი საფეხურით ჩამოვარდნილი. VI სპარტაკიადაზე საქართველოს „სპორტის დედოფლის“ ჯარისკაცებმა ბოლოსწინა, XVI ადგილი დაიკავეს.

ეს იყო რესპუბლიკის რაიონებსა და ქალაქებში, თვით თბილისშიც კი, ამ სახეობის რეზერვის მობზეზეება-აღზრდაში დაშვებული სერიოზული შეცდომების შედეგი. 300-ზე მეტი მწვრთნელის გარეშე მოთხოვნენი მინიმალურადაც ვერ დაკმაყოფილა. მარტო ვ. სანეკერეს და კიდევ ორიოდე ათლეტის ცდამ 1975 წლის სტარტებში ისეთი ვერაფერი მოგვცა, რაც სპარტაკიადის საერთო-გუნდურ ჩათვლაში VI ადგილის დაკარგვისგან გვიხსნიდა.

საქართველოს სპორტკომიტეტმა რესპუბლიკის ხელმძღვანელთა დახმარებით შექმნილი მდგომარეობიდან სათანადო დასკვნები გამოიტანა და საერთო ძალით ხარვეზების აღმოფხვრისათვის საჭირო ღონისძიებებიც გაატარა. თბილისისა და სოხუმის სტადიონებზე მოეწყო მძლეოსნური ბაზები, დედაქალაქში ახლა ბლიკის სპრინტერთა რიგებს ახალი ოსტატი შეემატა — გ. ბალაშვილმა „ბურევესტნიკის“ ცენტრალური საბჭოს პირველობაში სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა. გაგრელმა ს. გუმბამ, რომელიც მძლეოსნობის უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლაშიც მეცადინეობს, შარშან შუბის ტყორცნაში ქვეყნის ჩემპიონობა მოიშოვა და სხვ.

ცხადია, გუნდის ლიდერად სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ვ. სანეევი რჩება. მისგან კვლავ მაღალ შედეგებს ველით. სპარტაკიადაზე თავისი სიტყვა უნდა თქვას ბაღროს ტყორცნაში რესპუბლიკის რეკორდსმენმა ნ. ლომბაძემ და სხვებმაც. მაგრამ მარტოოდენ მათ იმედზე ვერ მივალწევთ იმ მიზანს, რასაც სპორტის განვითარებისათვის რესპუბლიკის ხელმძღვანელთა ზრუნვის პასუხად მოველით მძლეოსნებისაგან.

რესპუბლიკის რაიონებში მწვრთნელების უკმარი გარკვევა გამო საქართველოს ნაკრებს არ ჰყავს სრულფასოვანი რეზერვი. უფრო მეტიც, მისმა ხელმძღვანელებმა გუნდის (ნაკრებში 88 ათლეტი უნდა იყოს) მხოლოდ სანახევროდ დაკომპლექტება შეძლეს და ისეთაც (41) ათლეტს შორის მხოლოდ ჩვიდმეტია სპორტის ოსტატი (მათ შორის 1 დამსახურებული). და ეს იმ დროს, როცა მოსკოვის სტატებში მარტო ოსტატები დაიშვებიან.

ახლა, როცა სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადის დაწყებამდე ხუთიოდე თვე რჩება, მწვრთნელებმაც, სპორტსმენებმაც ძალ-ღონე არ უნდა დაიშურონ, რომ ქვეყნის VI სპარტაკიადაში დაკარგული პოზიციები მაინც დაიბრუნონ. მათ ამისათვის ყველა პირობა აქვთ შექმნილი.

ო. გელაშვილი.



ყველაზე პოპულარული

მძლეოსნობა თანამედროვე ოლიმპიური ასპარეზობების უცვლელი ბინადარი და ყველაზე პოპულარული სახეობაა. აღვნიშნავთ იმასაც, რომ მის პროგრამაში სხვადასხვა დროს არსებითი ცვლილებები შეჰქონდათ. ოლიმპიადების განრიგში სხვადასხვა დროს შედიოდა მძლეოსნობის 12-დან 38-მდე სხვადასხვა სახეობა. 1928 წელს მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ (იაფი, შეიქმნა 1912 წელს) მიაღწია იმას, რომ ამსტერდამის IX ოლიმპიადაში ეასპარეზათ მძლეოსან ქალებსაც. ამის მერე მძლეოსანი ქალები ოლიმპიადების სრულუფლებიანი წევრები გახდნენ. მოსკოვის ოლიმპიადაში მძლეოსნობა 38 „დისციპლინით“ იქნება წარმოდგენილი.

XVI ოლიმპიადა (მელბურნი, 1956 წელი). დვალიშვილი (სიგრძეზე ხტომა — 607 სმ) — III ადგილი.

XVII ოლიმპიადა (რომი, 1960 წელი). რობერტ შავლაყაძე (სიმაღლეზე ხტომა — 216 სმ, ოლიმპიადის რეკორდი) — I ადგილი, ალექსანდრე შჩერბინა (50 კმ სიარული — 4.31.44.0) — IV ადგილი.

XVIII ოლიმპიადა (ტოკიო, 1964 წელი). შავლაყაძე (სიმაღლეზე ხტომა, 214 სმ) — V ადგილი.

XIX ოლიმპიადა (მეხიკო, 1968 წელი). ვიქტორ სანეევი (სამხტომი, 17,39 მ., ოლიმპიადისა და მსოფლიოს რეკორდი) — I ადგილი.

XX ოლიმპიადა (მიუნხენი, 1972 წელი). სანეევი (სამხტომი, 17,35 მ) — I ადგილი.

XXI ოლიმპიადა (მონრეალი, 1976 წელი). სანეევი (სამხტომი, 17,29 მ) — I ადგილი.

XVI ოლიმპიადა (მელბურნი, 1956 წელი). ნადეჟდა დვალიშვილი (სიგრძეზე ხტომა, 597 სმ) — III ადგილი.

II სპარტაკიადა (1959 წელი). ლამარა ტუღუში (ბადროს ტყორცნა — 53,27 მ.), რობერტ შავლაყაძე (სიმაღლეზე ხტომა — 211 სმ) — II ადგილები.

III სპარტაკიადა (1963 წელი). ალექსანდრე შჩერბინა (სპორტული სიარული 50 კმ — 4:13. 01,0) — II ადგილი.

IV სპარტაკიადა (1967 წელი) — ლუდმილა იევლევა (თარჯრბენი 80 მ — 10,9) — I ადგილი, იგორ დელა-როსა (სპორტული სიარული 50 კმ — 4:06.08,4), ვიქტორ სანეევი (სიგრძეზე ხტომა — 780 სმ), იური კობელსკი, ანატოლი ანდრეევი, ტარიელ ბახტაძე და ზაურ სარქისოვი (ესტაფეტა 4X100 მ) — II ადგილები. ალექსანდრე შჩერბინა (სპორტული სიარული 50 კმ — 4:06.41,0), ანატოლი კოსტინი (100 მ რბენა — 10,6) — III ადგილები.

V სპარტაკიადა (1971 წელი). ანატოლი მოშიაშვილი (თარჯრბენი 110 მ — 13,9), ვიქტორ სანეევი (სამხტომი — 17,16 მ) — I ადგილები, იგორ დელა-როსა (სპორტული სიარული 50 კმ — 4:05.12,6) — III ადგილი.

VI სპარტაკიადა (1975 წელი). ვიქტორ სანეევი (სამხტომი — 17,33 მ — სპარტაკიადის რეკორდი) — I ადგილი.

საქართველოს მძლეოსანთა გუნდური შედეგები სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადებზე ასეთი იყო: 1956 წელს — VIII ადგილი, 1959 წელს — IX, 1963 წელს — IX, 1967 წელს — IX, 1971 წელს — IX, 1975 წელს — XVI.

XV ოლიმპიადა (ჰელსინკი, 1952 წელი). ლევან სანაძე (ესტაფეტა 4X100 მ) — II ადგილი, ნადეჟდა დვალიშვილი (200 მ. რბენა — 24,2) და ნინო დუმბაძე (ბადროს ტყორცნა — — 46,29 მ) — III ადგილები.

XVI ოლიმპიადა (მელბურნი, 1956 წელი). დვალიშვილი (სიგრძეზე ხტომა — 607 სმ) — III ადგილი.

XVII ოლიმპიადა (რომი, 1960 წელი). რობერტ შავლაყაძე (სიმაღლეზე ხტომა — 216 სმ, ოლიმპიადის რეკორდი) — I ადგილი, ალექსანდრე შჩერბინა (50 კმ სიარული — 4.31.44.0) — IV ადგილი.

XVIII ოლიმპიადა (ტოკიო, 1964 წელი). შავლაყაძე (სიმაღლეზე ხტომა, 214 სმ) — V ადგილი.

XIX ოლიმპიადა (მეხიკო, 1968 წელი). ვიქტორ სანეევი (სამხტომი, 17,39 მ., ოლიმპიადისა და მსოფლიოს რეკორდი) — I ადგილი.

XX ოლიმპიადა (მიუნხენი, 1972 წელი). სანეევი (სამხტომი, 17,35 მ) — I ადგილი.

XXI ოლიმპიადა (მონრეალი, 1976 წელი). სანეევი (სამხტომი, 17,29 მ) — I ადგილი.

არქივარიუსის ჩანაწერები

საქართველოს მძლეოსანთა შედეგები

I სპარტაკიადა (1956 წელი). ნადეჟდა დვალიშვილი (სიგრძეზე ხტომა, 597 სმ) — III ადგილი.

II სპარტაკიადა (1959 წელი). ლამარა ტუღუში (ბადროს ტყორცნა — 53,27 მ.), რობერტ შავლაყაძე (სიმაღლეზე ხტომა — 211 სმ) — II ადგილები.

III სპარტაკიადა (1963 წელი). ალექსანდრე შჩერბინა (სპორტული სიარული 50 კმ — 4:13. 01,0) — II ადგილი.

IV სპარტაკიადა (1967 წელი) — ლუდმილა იევლევა (თარჯრბენი 80 მ — 10,9) — I ადგილი, იგორ დელა-როსა (სპორტული სიარული 50 კმ — 4:06.08,4), ვიქტორ სანეევი (სიგრძეზე ხტომა — 780 სმ), იური კობელსკი, ანატოლი ანდრეევი, ტარიელ ბახტაძე და ზაურ სარქისოვი (ესტაფეტა 4X100 მ) — II ადგილები. ალექსანდრე შჩერბინა (სპორტული სიარული 50 კმ — 4:06.41,0), ანატოლი კოსტინი

ტელევიზია

23 მარტი

პირველი პროგრამით

09.00 — „ცრემლია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 17.55 — აბიტურიენტთათვის ქემია, 18.25 — განცხადებები (ფ.), 18.35 — შევისწავლოთ ფრანგული ენა, 19.00 — მოსწავლეთათვის — „ცვლა“ (ეიტნაშელი მოსწავლეთა ქალაქ რუსთავის მესამე პროფტექნიკურ სასწავლებელში), 19.35 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 20.05 — „მანდარინების ხვევნა თუ ჭიდილი“ ციკლიდან „მაოს მემკვიდრეები“ (მ.), 21.05 — სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „ჟან კრისტოფი“. V სერია. პრემიერა (მ.), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 22.35 — სატელევიზიო სპექტაკლი „თეთრი დღე“. პრემიერა საქართველოს ტელევიზიის დადგმა (ფ.).

რადიო

24 მარტი

პირველი პროგრამით

09.15 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (მ.), 11.20 — მსუბუქი საორკესტრო პიესები, 12.00 — „მეგობრობა გზად და ხიდად“. ლექსები, 12.15 — ა. ბალანჩივაძე. პირველი სიმფონია, 13.30 — „თეატრი მიკროფონთან“. თბილისის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სპექტაკლი „რიჩარდ მესამე“, 18.00 — „მსოფლიოს ერთი კვირის ამბები“, 18.10 — „მელოდია, რიტმი, განწყობილება“, 19.00 — „შოლტი“, სატირულ-იუმორისტული რადიოჟურნალი, 19.30 — სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში: თბილისის „დინამო“ — მოსკოვის „ლოკომოტივი“. რეპორტაჟი თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონიდან, 20.30 — „ჩვენი იუმორისტული ჩანაწერები“ — გ. შატბერაშვილის მოთხრობები ავტორისეული კითხვით, 21.00 — „ძილის-პირული“, 21.10 — „რუსული ენის შემსწავლელთა დასახმარებლად“, 21.30 — ახალგაზრდობისათვის. „საუბარს განაგრძობს რადიომსმენელი“, 22.00 — „სალამო მშვიდობისა!“.

თეატრი

23 მარტი

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — გაიანე; რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — რიჩარდ მესამე (სამედიცინო ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა-თვის); **მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — საბრალდებო დასკვნა; ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — ჩარლის დეიდა; მინიატიურების სახელმწიფო — ეშმაკის კუდი; მეტეხის თეატრი — ქართული ნოველების სალამო; კინოსტუდია „ქართული ფილმის“ თეატრალური სახელოსნო — წამებაი დედოფლისა.**

რედაქტორი

გ. გედინეიშვილი.

ფეხბურთი

ნახევარფინალისტები გამოვლინდნენ

21 მარტს, მორიგ საფეხბურთო ოთხშაბათს, მოეწ